ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაკადული

140
2005



# საქართველოს მომავალი



თბილისის
161-ე საშუალო სკოლა,
I კლასი,
ხელმძღვანელი
**მზია მდივანი**

თბილისის ე. თაყაიშვილის
სახელობის გიმნაზია,
I კლასი,
ხელმძღვანელი
**ნანა აბესაძე**





თბილისის
161-ე საშუალო სკოლა,
I კლასი,
ხელმძღვანელი
**მაია იორამაშვილი**



**გვანცა გიორგაძე**

თბილისის
65-ე საშუალო
სკოლის
III კლასის
მოსწავლე
**სოფო
გოლიაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2005 წ. №9

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მეცადინეობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაკადულზე აღზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

როგორ ხვდებოდნენ ჩვენში შობა-ახალ წელს -------------- 3

კარლო კობერიძე – თოვლიანი ზამთარი (მოთხრობა) --- 5

„ოდოუშხერი“ -------------------------------------------- 8,14,23,28

დღესასწაული კლუბში „ფლორო“ ------------------------------ 9

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“ (ნარკვევი ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურის სკოლის შესახებ) -- 12

საახალწლო ------------------------------------------------------ 16

ჭუთკუნჭულას გვერდი ----------------------------------------- 22

გიორგი ნიკოლაძე --------------------------------------------- 24

როგორი ადამიანი იზრდები (ტესტი) ----------------------- 29

სიცილის გაკვეთილი ------------------------------------------- 31

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ.14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

## ნესტან კუპრავა

# საახალწლო



სიკეთე შენდა, წელო ახალო,
მშვიდობა შენდა, ჭერო მაღალო,
ჯაჭისეულო ჩემო ვენახო,
ქარვის მტევნებით სავსე მენახო.
ვერ დაიტიო, ბეღელი, ხვავი, —
ქერი და შვრია, ხორბალი, ჭვავი,
ვერ აუთავდე, წისქვილო, საფქვავს,
სარეკელების ისმენდე ნათქვამს,
რძისა და თაფლის ჩქეფდეს მდინარე,
ცხოვრება იყოს სახემცინარე,
იზნიქებოდნენ ხელით ხეები,
თაფლის წვეთივით დატკბნენ დღეები,
მოღონიერდეს ისევ სოფელი,
კვლავ აღუღუნდეს წუთისოფელი,
გამხიარულდეს ქალაქი თეთრი,
გფარავდეს ღმერთი! გფარავდეს ღმერთი!
გაბრწყინდეს ერი ციური ფერით,
წმინდა სამებამ გვაშოროს მტერი,
კვლავ გაძლიერდეს კერა ქართული, —
ჩვენი დედული, ჩვენი მამული,
დე, ლამაზები ვიყოთ მარადის,
დე, სიბრძნე გაგვყვეს ზეცის კარამდის,
ოჯახი, — სავსე მრავალი შვილით,
ერი, — ნეტარი სიცოცხლით ტკბილით:
იმედით მოხველ, წელო ახალო,
მშვიდობა შენდა, ჭერო მაღალო,
სიკეთე შენდა, მიწავ ქართულო, —
ჩვენო დედულო, ჩვენო მამულო!

# როგორ ხვდებოდნენ ჩვენში შობა-ახალ წელს

**სანტა კლაუსიც ძალიან კარგია და იმის ცოდნაც, თუ სად როგორ ხვდებიან შობა-ახალ წელს, მაგრამ უპირველესად მაინც ჩვენი საკუთარი ტრადიციების ცოდნა და მათი მოვლა-დაცვა გვმართებს და ამიტომაც მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ამ ორი ულამაზეს დღესასწაულთან დაკავშირებული ქართული წეს-ჩვეულებები.**

23392

ბარბალობა ქრისტეშობის, დეკემბრის თვეში, შობამდე რამდენიმე დღით ადრე მოდის. ქრისტიანობა ამ დღეს წმინდა ბარბარეს სახელს უკავშირებს და დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებს. ჩვენში ძველად ბარბალობის წინა ღამეს ოჯახის დიასახლისი ჯვარდასახულ სართვიანებს (ლობიანებს, შეკეცილებს – ბაჭულებს და ნიგვზის გულიან ქადებს – განატეხებს) აცხობდა, ცალკე, თიხის კეცზე ნაკვერჩხალსა და კაკლის ნაჭუჭს ყრიდა, ზედ სანთელ-საკმეველს აკმევდა და ასე გამზადებულ სართვიანებს კერის პირას, პატარა სამფეხა მაგიდაზე დგამდა. განატეხზე სამ სანთელს ანთებდა, ტაბლას სამჯერ შემოუვლიდა და ღვინით დაილოცებოდა, ღმერთს ოჯახის სიმრავლეს, სიკეთეს,



სიუხვეს, ხვავსა და ბარაქას შეავედრებდა, მერე ბავშვებს დაუძახებდა და სართვიანებს და განატეხებს ჩამოურიგებდა. ბარბალობას მეკვლეც აუცილებლად უნდა მოსულიყო, რადგან სწამდათ, რომ ამ დღეს დაცდილი ფეხი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ახალ წელს.

ქართლში ბარბალობას ქადანამცხვრებს აცხობდნენ და ხატსალოცავში მამალს სწირავდნენ, მამლის შეწირვა ბარბალობას იმერეთშიც სცოდნიათ.

**შობა.** ბარბალობის შემდეგ ერთ კვირაში, 25 დეკემბერს შობა დგება. ქართლში შობის დღეს კორკოტი იხარშებოდა, რაჭა-ლეჩხუმში კი – წანდილი (კორკოტი კანგაცლილი, დაბეგვილი ხორბლის ფაფაა, ხოლო წანდილი – კანგაუცლელის). შობას ჩვენი წინაპრები ხარებს არ შეაუღლებდნენ, შორს არსად წავიდოდნენ და არც რაიმე დიდ საქმეს წამოიწყებდნენ. კორკოტის ჩადგმის შემდეგ ოჯახიდან გარეთ არაფერს გაიტანდნენ და მეზობლებში დარჩენილ ნივთსაც დაიბრუნებდნენ.

ქრისტეშობის დღეს საკლავსაც აუცილებლად კლავდნენ.

ზოგ კუთხეში ხარის რქებზე შემოვლებულ მამალს, ან საგანგებოდ გასუქებულ ღორს კლავდნენ, აღმოსავლეთ საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს მთიანეთში კი ცხვარსა და ხბოს. რაჭასა და იმერეთში საშობაო ტაბლის გაწყობა იცოდნენ ღორის თავით, სანთელ-განატეხით, ლობიანებით, ხაჭაპურებით, ხილითა და ტკბილეულით (გოზინაყით, ტკბილი კვერით, ჯანჯუხებით).

შობა რომ გათენდებოდა, სოფლის ახალგაზრდობა, უმეტესად ბავშვები ტანსაცმელს ჩაიცვამდა, ხელში გრძელ ჯოხსა და კალათს დაიჭერდა და კარდაკარ ალილოზე სიარულს დაიწყებდა გალობით:

„ალილო, ალილო, ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო და..."

ოდნენ და მხიარულობდნენ.

**კალანდა.** დამთავრდებოდა შობა და იწყებოდა ახალი წელი. დგებოდა კალანდა – ძველი წლის გაცილების, მისი ავისა და კარგის შეფასების, ახლის შეხვედრის, სამომავლო ბედნიერებისა და სიხარულის მომნიჭებელი დღე და მას ყველა ზეიმობდა – დიდიცა და პატარაც, უფროსიც და უმცროსიც, ბატონიც და გლეხიც, მეფეც და მრევლიც.

ვიდრე საქართველოში საშობაო ხის, ნაძვის დადგმის ტრადიცია შემოვიდოდა, საახალწლოდ გათლილ ჩიჩილაკს რთავდნენ ხოლმე. ჩვენი ხა-



ვის კარზედაც შეჩერდებოდნენ, ჯოხით დააბრახუნებდნენ და სიმღერას წამოიწყებდნენ:

„ალათასა-ბალათასა, ხელი ჩავკარ კალათასა,

ამოიღე ერთი კვერცხი, ღმერთი მოგცემს ბარაქასა.

არიელი, მარიელი, ნუ გაგვიშვებ ცარიელი,

ღმერთმა წმინდად გაგითენოთ შობა-ახალწელიწადი".

მეალილოეებს შინ შეიპატიჟებდნენ, კარგად გაუმასპინძლდებოდნენ და ხელდამშვენებულებს გაისტუმრებდნენ. მათ კი, ვინც სახლში არ შევიდოდა, კვერცხს, ხაჭაპურის ნაჭერს და ჩურჩხელას მიაწვდიდნენ. მოგვიანებით შეგროვილ სასმელ-საჭმელს ახალგაზრდები ერთად შეექცე-

ლხის თვალში ჩიჩილაკი ნაყოფიერებისა და ბედნიერების სიმბოლო იყო.

განსაკუთრებით ლამაზ ჩიჩილაკს გურიასა და სამეგრელოში აკეთებდნენ. სამეგრელოში მას ოჯახის უფროსი ამზადებდა, თხილის მსხვილ ჯოხს აიღებდა, ჯერ ცეცხლზე გაახურებდა, რომ მოდრეკილიყო, კანს გააცლიდა და დანით ბოლოდან წვერისაკენ ჩათლას დაუწყებდა. ბურბუშელების ფენა თანდათან უწყვეტად ქვემოდან ზემოთ იკეცებოდა, ღერძზე გადმოიფინებოდა და ბოლოს ჩიჩილაკს ხის ფორმა ეძლეოდა. შემდეგ ჩიჩილაკს საყრდენს უკეთებდა, წვერზე კი, რომელსაც დანით ჩაჭრიდა ან ჯვარედინად ჩახეხავდა, ჯვრის ფორმის ჯოხს ჩაუმაგრებდა. ოჯახის წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერები ამ ჯოხზე ვაშლებს ან ბროწეულებს ჩამოაცმევდნენ, ჩიჩილაკს კი სხვადასხვა სამკაულით, ფერად-ფერადი ძაფებით, ხილით, ჩურჩხელებით, ტკბილეულით, ვერცხლის მონეტებით რთავდნენ.

გურიაში კალპიანი (რგოლიანი) ჩიჩილაკი იყო ტრადიციული. მას მარადმწვანე სუროსაგან და წითელმარცვლიანი კურკანტელის ლერწისაგან წნავდნენ, გვირგვინივით ადგამდნენ ჩიჩილაკს, კალპზე კი ყველითა და კვერებით შეზავებულ გულჩაღრმავებულ კვერს – „ბოველს“ დაადებდნენ, რომელზეც ჯვარს აღმართავდნენ.

რაჭაში კალპის მაგივრად „გვირგვინის“ ვაზის ლერწისგან მოწვნა იცოდნენ, რომელზეც სამეკვლეო ნობათი (მოხარშული ქათამი, ღორის თავი, ხაჭაპურები, ჩურჩხელები, ტკბილი კვერი) იდო. ამ ნობათით ოჯახის უფროსი თავისიანებს ახალ წელს ულოცავდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ასეთ მისალოცს საკვლევარი, სამეკვლეო და მისაკვლევები ჰქვია, ქართლში კი ეს ტერმინი დროთა განმავლობაში „აბრამიანმა“ შეცვალა. აქ საახალწლოდ და „აბრამიანზე“ დასაწყობად აცხობდნენ „ბასილას“ (ადამიანის ფორმის ნამცხვარს) და სხვადასხვა სახელწოდების ბედის კვერებს (კრუხ-წიწილას, ხარის რქას, ძროხის ძუძუს, ძაღლს, ქათმის კლანჭს, მზისა და მთვარის გამოსახულებას), რომლებსაც შემდეგ ბავშვებს დაურიგებდნენ.

სვანეთში ყველიანი პურების გამოცხობა იცოდნენ, ამათგან ერთი ყველაზე დიდი ზომისა იყო, რომელსაც შუაში ჯვარი ჰქონდა გამოსახული, მოიმარაგებდნენ თაფლს, ყველს, ხორცს, სხვა პროდუქტებს და მათ გიდელში ჩააწყობდნენ. გიდელს კარებთან დაკიდებდნენ, რომ მეკვლეს მზად დახვედროდა. როგორც კი ირიჟრაჟებდა, ოჯახის უფროსი (კაცი) ადგებოდა და სულის შებერვით მინავლულ ცეცხლს გააღვივებდა. მერე დიასახლისს და ოჯახის იმ წევრს გააღვიძებდა, რომელიც ყველაზე კეთილი იყო, საქონელს თოვს გამოაბამდა და წინ გაიძღოლებდა. დედაკაცი ხორაგიან გიდელს აჰკიდებდა, ვიდრე შინ არ დაბრუნდებოდნენ, ერთმანეთს არ დაელაპარაკებოდნენ. წყალთან მივიდოდნენ, ხარს დაარწყულებდნენ, უკან მობრუნებულები კალოზე შეჩერდებოდნენ, თოვლის ზვინს დადგამდნენ, შუაში ნაძვის ხეს ჩაურჭობდნენ, შემობრუნდებოდნენ და სახლის კარებთან გაჩერდებოდნენ. ოჯახის უფროსი დააბრახუნებდა „ყორ მუკიარ!“ – კარი გამიღეთო „ღერ თემიში იხელ, წიფი ყორ ამღვე ყორ მუკიარ!“ – ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს, კარი გააღეთო. გაუღებენ, შევლენ, დასხდებიან, მაკვლიელი აიღებს ხელში დიდ ჯვრიან პურს, დააწყობს ზედ ყველს, ხორცს, თაფლს, ვერცხლის ფულს, ჩამოუვლის ყველას და მიულოცავს. მერე სოფელს დაუვლიან – მეზობლებს მიულოცავენ, მონადირე ნიშანს დადგამს, ესვრის თოფს და თუ მიზანში მოახვედრა, ბედნიერი წლის დასაწყისად მიიჩნევენ.

სამეგრელოში ახალი წლის მეორე დღეს „ფერხობა“ (ფერხვაობა) ჰქვია. თითოეულ ოჯახში ირჩევენ მეფეხურს, ფეხბედნიერ კაცს, რომელიც სხვაგან უნდა დაწვეს, ალიონზე წამოდგეს, შინ მოვიდეს და ყველას მიულოცოს, ყოველი ავი თუ კარგი, რაც რომ იმ წელს მოხდება ოჯახში, მეფეხურეზე იქნება დამოკიდებული.

გურიაში ფერხობას მეკვლეობა ჰქვია. მეკვლედ შეარჩევენ კეთილ, გამოცდილ კაცს, რომელმაც ახალი წლის გადასალოცი, სამჯობინარი უნდა იცოდეს. აქ სიტყვით გადალოცვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. მასში შედის აგუნას გადაძახილი და მეფერხის ლოცვა.

ასეთია მოკლედ საახალწლო ციკლში შემავალი წეს-ჩვეულებები. ამ ძველ, დიდებულ, ლამაზ ტრადიციას დავიწყება არ უწერია. იგი ჩვენი წარსულის, ჩვენი კულტურის მონაპოვარია. ამ ტრადიციაში რწმენაც არის ჩადებული, პატიოსნებაც. მომავლის იმედიც და ღვთის მადლის დაფასებაც. უნდა გვჯეროდეს, რომ სიკეთე სიკეთეს წარმოშობს, სათნოება – სათნოებას და სიყვარული – სიყვარულს, შრომა – ხვავსა და ბარაქას, დოვლათსა და სიუხვეს.

**გ. მოდებაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თოვლიანი ზამთარი

## მოთხრობა

### კარლო კობერიძე

მესამე დღეა ბარდნის, გარეთ აღარ გაისვლება – კაცი წელამდე ეფლობა თოვლში. ირგვლივ თვალის დამღლელი სითეთრეა. წეღანაც გადავთოვლე სახურავი, მაგრამ ისევ ჭრიალი გაუდის თავხესა და კავებს. კიბესთან დაყუდებულმა ლედვმა აივნის მოაჯირზე ჩამოაწყო ტოტები. მობუზული ბეღურები ხეებზე ფეხს ვეღარ იკიდებენ და ჩვენს აივანზე დაჟივჟივებენ. ხანდახან მარანში შევირბენ ხოლმე, ქათმებს საკენკს ვპარავ და იმით ვაპურებ ბეღურებს; გუშინწინ დამინახეს და ჟივილ-ხივილით შეეფინენ ცას; გუშინ – აივნის კუთხეში მიფრინდნენ, დღეს კი ისე გამიშინაურდნენ, სხედან და მიყურებენ, აბა რას დაგვიყრისო.

მანქანები აღარ დასრიალებენ გზაზე, აღარც მურია ჰყეფს მოაჯირის ღრიჭოდან, – ერთხელ ლეკვი გაუსრისეს და მას შემდეგ მარტო მანქანებს ემტერება.

ალუბლებში გაჩხერილი, კუნელი აღარ იხუნძლება მოჭახჭახე შაშვებით;. ახლა საბძელს ეტანებიან შაშვები, საბძელსა და თავზე ვედროდამხობილ სათივეს. ჩხართვები კი ფითრიან მსხალს შერჩნენ – ქვემოდან აფრინდებიან ფითრსა და გაჯახირებით კენკავენ თეთრ მძივებს.

ოთახში თბილა, წითლად ვარვარებს ღუმელი. სკამის საზურგესა და საწოლის თავზე გადაფენილ სარეცხს თეთრი ორთქლი ეგლისება. დედაჩემი მთელი დღეა ჩემს ძველ პალტოს უტრიალებს, იქნებ გამოდნეს რამე და სიგრძე-სიგანეში მოემატოსო. ბებია ტახტზე მოკეცილა, თითისტარი თიხის ჯამში ჩაუშვია – მატყლს ართავს, წინდა უნდა მომიქსოვოს, მე შეშა დავჩეხე, კიბის ქვეშ შევზიდე და ახლა ღუმელს ვეხუხები.

–სამფეხა მიიდგი, შვილო, – მეუბნება ბებია, – უფრო მარჯვედ მიეფიცხები.

–ეჰ, აღარ გამოიარა ნოდარამ, – ჩემს ბიძაშვილზე ამბობს დედაჩემი, – ჭიანი ბიჭია და ხომ არაფერი დაეტაკა!

სამფეხა მივიდგი, დავჯექი და ვუთხარი:

–არ გამოივლის.

–შენ რა იცი?

–ალბათ ვიცი.

–აწყენინებდი რამეს! – მეუბნება ბებია.

–კნუტი მოისროლა თოვლში, მაშინვე ამოვიყვანე. რატომ ამოიყვანე, მინდოდა მენახა როგორ აფხლაკუნდებოდაო. ცოდოა-მეთქი. ხელიდან წამგლიჯა კნუტი და ისევ გადააგდო. ისევ ამოვიყვანე, მერე წართმევა რომ დამიპირა, გავარტყი და გამარტყა.

დედაჩემს არაფერი უთქვამს, ისევ მოირგო სათვალე, ნემსი გამოიძრო კაბის საყელოდან, მაქოს ძაფი შეაწყვიტა. ვუყურებ და გუნებაში ვამბობ, ნეტავ, ვიდრე ასამდე დავთვლი, მანამდე თუ მაინც გაუყრის-მეთქი. ასე თუ ისე, აგებს ძაფს, მერე სათვალეს მოიხსნის, სახელოს გაუსვამს მინებს და მაშინ მეტყვის, რატომ არ მეხმარებიო.

ბებიამ თიხის ჯამი აიღო, თითისტარიანად გადადგა გვერდზე და მკითხა:

–ვითომ ეგრე იყო, დავიჯერო?

–არა გჯერა, და იმასა ჰკითხე.

–ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა! – შეწუხდა დედაჩემი, – მობრძანდეს აქა!

ბებიამ ამოიოხრა, ნაღვლიანად მომაჩერდა და დაიწყო:

–ეს ამბავი, ახლა რომ მოგიყვები, დიდი ხნის წინათ მოხდა. ათისა თუ ვიქნებოდი, მას შემდეგ სამოცდახუთ ზამთარს კიდევ გამოვაღწიე, მაგრამ იმ წელიწადს რომ ჩამობარდნა, ტყუილია, იმის მსგავსი არაფერი მინახავს. მაღალი ხეები თოვლში ყელამდე ჩაეფლნენ, ბუჩქები და ბარდები თვალსა და ხელშუა წაიშალა. რუები თოვლქვეშ მოჩხრიალებდნენ, წყაროები თოვლქვეშ მირაკრაკებდნენ, ალაზანიც თოვლქვეშ მიბუტბუტებდა. მოყინულ მიწას დაათოვა და იმიტომაც დადო აუღებლად. რაღა ბევრი ვილაპარაკო, მოსაწყენი დღეები დაიჭირა. სხვა რა უნდა გვექონა, ვისხედით ბუხართან და რიგრიგობით ვყვებოდით ზღაპრებს გოგო-ბიჭებიცა და მეხრე-გუთნისდედებიც. შემოგველეოდა ზღაპარი და თავიდან ვიწყებდით ხოლმე. მერე ისიც რომ შემოგველეოდა, ყურმოკრულ ამბებსა და ჭორებზე გადავიდოდით. ამისთანა უბედური ზამთარი მოგვიხტა. იმ დროს ჩვენს მეზობლად ერთი კაცი ცხოვრობდა, მახარე ერქვა, სავსე იყო შვილებით, მიწის მადლი და ყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დრი იცოდა, აკი ქვევრ-ბეღელიც სავსე ჰქონდა მონაგარით. მახარესთანა მოვლილი საქონელი არავის დაუდიოდა მთელ ამ არემარეზე. ზამთარში შეშა-ფიჩხზე დადიოდა, გაზაფხულზე გუთნის ტარს ეჭიდებოდა, ზაფხულში – ნამგლის ტარს, შემოდგომაზე – დოვლათის დაბინავება და მერე ისევ გუთნის ტარი. თავგადაკლული მონადირეც გახლდათ. იცოდა მახარემ, როდის რაზე უნდა ენადირა, ირმის მყვირალობისას თოფს აღარ გაეკარებოდა, საცაა ბაჭიები მოგვიმრავლდებიანო და, თავის დროზე არც კურდღელს იმეტებდა სათოფედ... კეთილ კაცს ოჯახიც კეთილი ჰქონდა. ახლა საქონელს აღარ იკითხავთ? იმის ხარებს არასოდეს გაუმრუდებიათ გუთნის კვალი, ცხენები ვაზის რქას არ წატანებიან.

ერთადერთი უმცროსი ძმა ჰყავდა მახარეს, ლევანას ეძახდნენ. ისიც სავსე იყო შვილებით, დოვლათითა და ბარაქით. იმათი სანაქებო ძმობის ამბავი ზღაპარივით დადიოდა ქვეყანაზე. ჭირსაც ერთად იყოფდნენ და ლხინშიაც ურთმანეთოდ ვერ ნახავდით. ეგრე სიამტკბილობით ცხოვრობდნენ ძმები, მაგრამ იმ თოვლიან ზამთარს, ბალახივით ჩუმი და უწყინარი მახარე, სამუდამოდ დაეუმძრახა ლევანას. მთელი სოფელი ჩაერია და ვერავინ მოახერხა შერიგება.

როგორც გითხარი, მაშინ უფრო დიდი თოვლი იყო. ლეკოს მთაზე აგორებული ზვავის გუგუნი აქამდე აღწევდა. ირმებმა და შვლებმა იციან, თოვლს გადაქექავენ და ისე შოულობენ საზრდოს – ხმელ ფოთოლსა და ხმელ ბალახს. მაგრამ იმოდენა თოვლს რა გადახვეტავდა?! ამ დროს ფრინველები იოლად გადიან, გადახურულ ღიჯის ბარდში შეძვრებიან და იქ იქექებიან ნეშოში, ჭიაღუასაც შოულობენ და ღიჯის მარცვლებსაც.

მახარეს ძველი ადათ-წესი ჩვევად მოსდგამდა; ვიდრე ფრინველ-საქონელს არ მიხედავდა, ვიდრე ჯერ იმათ არ აჭმევდა, ლუკმას არ ჩაუშვებდა პირში.

დილა იყო. დედამ საციქვლის სათხოვნელად გამგზავნა მახარეანთსას. მახარეს ცოლს სუფრა გაეშალა, ყველანი მაგიდას უსხდნენ: დიდები ცალკე, წვრილფეხობა – ცალკე. მახარე კი ისევ ბუხართან იჯდა, ალბათ იმაზე ფიქრობდა, როდის დაჯდება თოვლი, სათარზე როდის წავალო. ცოლმა რომ უთხრა, ადე, ისაუზმეო, მახარემ თავი ასწია და უფროს შვილს ჰკითხა:

–ბიჭო, გოგია, ხარებს თავი ჩამოუყარე?

–მაგას რა დამავიწყებდა!

–ძროხებს ჩაუშალე ფუჩეჩი?

–მაშა!

–ცხენს ქერი ხომ არ დააკელი?

–სხვა დროს დამიკლია რო?

მახარე ახლა ცოლს მიუბრუნდა:

–ქათამ-ინდაურს დაუყარე საკენკი?

–მაშ აქამდე რას ვაკეთებდი?

–ღორებს დაუდგი სალაფავი?

–იგრე დაძღნენ, ველარ სუნთქავენ!

–მურია ხომ არ დაგრჩა მშიერი?

–აბა რას ამბობ?!

–მართლა საუზმობის დრო ყოფილა! – ჩაილაპარაკა მახარემ და საჩეხში გავიდა, ხელებს გადავიბანო. მეც, საციქველით ხელში, გარეთ გამოვედი. სათივისკენ გავიხედე და რას ვხედავ! – ნაშალ თივას შველი მისდგომია და მადიანად ახრამუნებს. მთლად სველია შველი, ორთქლი ასდის. მახარემ ღრმა ნაკვალევს გააყოლა თვალი, ჰოი, წიფლიანიდან ჩამოსულაო შველი თივას ახრამუნებს მადიანად, ბოჩო-





ლას კი თავი გამოუყვია ბოსლიდან და გაოცებული უყურებს, ვინ არის და საიდან მოსულაო. საჩეხის სვეტზე გამობმული მურიაც ხედავს შველსა და ხმას არ იღებს. აბა ერთი სხვისი საქონელი შემოსულიყო? – იქაურობას აიკლებდა. მურიას გადახედა მახარემ და ხელების დაბანა არც გახსენებია, ღიმილით შებრუნდა სახლისკენ,ხალხს გამოეახედებო. მისი მოტრიალება და თოფის გავარდნა ერთი იყო. ადგილზე გაქვავდა მახარე, ღიმილი შეეყინა სახეზე; ეტყობოდა, ცუდ რაღაცას ანიშნებდა გუმანი. ბოლოს მძიმედ მობრუნდა და ქურდულად გააპარა მზერა სათივისკენ. უყურებს და თვალს არ უჯერებს! ლევანს თოფი დაუცია შველისთვის და ახლა ხანჯალს უსვამს ყელში. მახარეს ცეცხლი მოეკიდა, საჩეხიდანვე უყვირა:

–ეს რა ჩაიდინე, ლევან! – თან სათივისკენ გადაახიჯა.

–არაფერი, შველი მოვკალი, – უპასუხა ლევანამ.

–დამეკარგე აქედან! – აყანყალდა მახარე, სათივის ბოძზე მიყუდებულ თოფს მისწვდა, თოვლში მოისროლა, – აქედან დამეკარგე!

გარეთ გამოეფინენ მეზობლებიც, უკვირდათ: მახარეს ხმამაღალი სიტყვა არ გაგვიგია, ნეტა რა მოხდა, ასე რა აყვირებსო.

ლევანა წელში გაიშალა, ჩოხის კალთები ამოიკეცლთა, გამშრალი მიაჩერდა ძმას:

–რას მერჩი, მახარე?!

–შენი ფეხი აღარ ვნახო აქ!

–ისე მელაპარაკები, ვითომ არ მოგეკლას შველი!...

–შე უღმერთო, შიმშილით სიკვდილს გამოექცა, ეს ამოდენა ზვავი გამოარღვია, ადამიანები გადამარჩინენო, შენ კი ტყვია დაჰკარი?! ვაგიხმეს ეგ მარჯვენა!

–შველის გულისთვის მაგდებ?! – გაოცდა ლევანა. – შენი იყოს, ვინ გართმევს?

–მაგას ვინ გეუბნება?!

–ეგე, თუ არ მეუბნები?!

შველი თოვლზე გდია, ფერდები ჯერ კიდევ უფეთქავს, ფიფქები ადნება გაყინულ თვალებში.

–ცოტა რომ გაგიჭირდეს, ალბათ კაცსაც არ დაინდობ! – უარესად გაუჯავრდა მახარე. – დღეიდან ხელი ამიღია შენს ძმობაზე! – მოგშივა – პურს არ მოგაწვდი, მოგწყურდება და – წყალსა! არც შენი ხელის გამოწოდება მინდა, დღეიდან მკვდარი ხარ ჩემთვის!...

ლევანამ ხანჯალი ქარქაშში ჩააგო, თოფი აიღო და თავდახრილი წავიდა.

–მოტრიალდი! – დაუძახა მახარემ, – შველი დაგავიწყდა.

ლევანამ მართლაც წაიღო შველი, მაგრამ შინ არ მიუტანია, რა უყო – არავინ იცის...

მახარემ დაიქადნა და აასრულა კიდეც: მთელი სოფელი ევედრებოდა, აპატიეო, მაგრამ უკან ვერ დაახევინეს, – ისე ჩავიდა სამარეში, ღვინომაც ვერ მოაკითხვინა ძმა... ასე იყო.

–ასე იყო, შვილო, – გაიმეორა ბებიამ, – ნოდარა კი... ეჰ!

–ჰო, ნოდარა კი... – ამოიოხრა დედამ.

წამოვდექი:

–გავალ, შეშას შემოვიტან.

გარეთ ისევ ბარდნიდა, მობუზული ბეღურებიც ისევ დაფუფუნებდნენ აივანზე. ნოდარას სახლისკენ გავიხედე და მერე მარანში შევედი, ქათმებისათვის ხაჭაპი უნდა მომეპარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მარიამ ჭანკოტაძე

**ახალციხის შოთა რუსთაველის სახ. საშუალო სკოლა, XI კლასი**



### შოუს მონატრება

დიდხანს ვიმგზავრეთ და უცებ – კავკასიონის ქედისა და უზარმაზარი ტყის ფონზე – მშვენიერი სასტუმრო!

სად მიდიხარო? – გულში მაინც მეკითხავთ და მეც გიპასუხებთ სიხარულით:

–შოუში მივდივარ! ლიდერ გოგონათა რესპუბლიკურ კონკურსში გავიმარჯვე! ახლა ერთკვირიანი სემინარი და დასვენება გველის!

რა დატვირთული და ბედნიერი დღეები იყო!

ერთმანეთს შევხვდით სხვადასხვა კულტურის, შეხედულებისა და განვითარების ბავშვები. საერთო გვქონდა ის, რომ ვიყავით ქართველები და ლიდერი გოგონები.

გავიცანი უამრავი საინტერესო ბავშვი. ყველაზე კოლორიტული ის იყო, რომ ყველა გამოხატავდა (უნებურად) თავისი კუთხის ჩვეულებებს, დიალექტს და ქცევებს. ძალიან დავმეგობრდით, ჩამოვყალიბდით ჯგუფები.

ჩვენი პედაგოგები იყვნენ ამერიკელებიც და ქართველებიც. ისინი იყვნენ ძალიან მეგობრულები, თავისუფლები, ზედმეტი ქედმაღლობის გარეშე. გვთხოვდნენ, მივეუმართა „შენობით", მაგრამ მუშაობისა და მეცადინეობის დროს იყვნენ ძალიან მომთხოვნები. დღის განმავლობაში ყოველი წამი ჰქონდათ გაანგარიშებული, დასვენების, თამაშის, მეგობრებთან ურთიერთობის, გართობის დათვალიერების უფლება და დრო იყო შვიდი საათის შემდეგ. მანამდე იყო მხოლოდ და მხოლოდ სემინარები – შეჯიბრებები.

თუ რომელიმე ბავშვი ლონისძიებაზე დააგვიანებდა, მკაცრი სასჯელით ისჯებოდა – ქულების დაკლებით.

უპირველესი მოთხოვნა იყო – თავისუფალი აზრი. შემდეგ კი ყველაფერი – მიმართული ლიდერული თვისებებისაკენ. საინტერესო იყო სემინარი ადამიანის აზრის დაფასების შესახებ და საკუთარი თვითრწმენის და მიზანსწრაფულობის ამაღლება. ყველაზე მხიარული მარათონი იყო და შეჯიბრი „ერთმანეთის გაცნობა".

მე ვიყავი „ყვითლების" ჯგუფის ლიდერი. ჩვენ გავიმარჯვეთ გაზეთის და ნახატების კონკურსში. მე გავიმარჯვე გაცნობის კონკურსში და მარათონში. ჩავატარეთ პოლიტიკური პარტიების კონფერენცია. ყველაფერი იყო ისე, როგორც ნამდვილ პოლიტიკურ ცხოვრებაში – წინასაარჩევნო პლაკატები, პროგრამა და ა.შ.

ჩვენი პედაგოგებიდან ძალიან მეგობრული იყო ჰოუფი – ძალიან მხიარული და მიმტევებელი. ყველაზე მკაცრი და ბრაზიანი – სარა და კამერუნი, არანაირი გადახვევა რეჟიმიდან! ყველაზე კომუნიკაბელური, გამორჩეული და ბავშვების საყვარელი იყო აიკო – იაპონელი. მე დამამახსოვრდა წყნარი, საინტერესო და შეუზღუდავი მონიკა (ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი).

ყველაზე საინტერესო იყო შერონ მაილსის სტუმრობა. ძალიან კონტაქტური, უბრალო, თბილი, გულისხმიერი ადამიანია, ღირსეული და ჭკვიანი. მისგან ბევრი რამე გავიგეთ და ვისწავლეთ.

შოუში გატარებულმა ერთმა კვირამ თითქოს მთლიანად შემცვალა და სამყაროც სხვა თვალით დამანახა. პირველ რიგში – შევიძინე უამრავი მეგობარი (პედაგოგებსაც მეგობრებად ვთვლი), გავატარე შესანიშნავი დრო ულამაზეს ბუნებაში. მაგრამ, რაც მთავარია, ამ დღეებმა მომცა ჩემი თავის რწმენა (რამაც დამეხმარა სხვადასხვა გამარჯვებები), გადავწყვიტე, არ მომერიდოს ჩემი აზრის, შეხედულებების, გემოვნების გამომჟღავნება, გამოვიმუშავე დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი. ვისწავლე შრომა გამარჯვებისათვის. გამიღრმავდა მიზანსწრაფულობა, კომუნიკაბელურობა. გადავწყვიტე ვიყო ისეთი, როგორიც ვარ!

## ერეკლე ლეჟავა,

**ქ. რუსთავის №2 საშ. სკოლა, V კლასი**

### მტკივა



მტკივა ჩემი პატარა ქვეყნის აწმყო, ჩემი სამშობლოს ადამიანების ასეთი შეტრიალება გულს მტკენს. საქართველოს მოსახლეობა უარესობისაკენ შეიცვალა. ამას ჩვენი ისტორია არ გვაპატიებს, მაგრამ ის ყველამ დაივიწყა.

მტკივა, ჩვენს ქვეყანაში ამდენი ღარიბი ადამიანი რომ არის, მაგრამ ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის.

ვერ ჩავწვდი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განცდებს, ვეღარ გამიგია, ჩვენი ქვეყანა ინგრევა თუ შენდება.

მაგალითად, რუსთავი ავიღოთ, მართალია, ცენტრში ყველაფერს ანახლებენ, ცენტრის გარეთ საშინელებაა. ძალიან მაწუხებს რუსთავის ბედი. მართალია, ცდილობენ წარმოაჩინონ, ვითომ რუსთავი განაახლეს, მაგრამ ეს არ არის მართალი. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ჩემი აზრით, ცხენები, რომლებიც ქალაქის წინა მთავრობამ დატოვა, სიმბოლურია – ვისაც რუსთავიდან წასასვლელი აქვს და მანქანა არ ჰყავს, შეაჯექით ამ ცხენებს და გაიქეცით მცდარი ქალაქიდანო!

ეს აზრი მაშინ დამებადა, როცა ცხენები პირველად ვნახე, ისინი ზუსტად გასასვლელისკენ არიან მიმართულნი.

მტკივა ამდენი ხელგამოშვერილი მათხოვარი. ჩემი აზრით, თუ ვინმეს ჩვენი ერის დახმარება უნდა, პირველ რიგში ეს მათხოვრები უნდა დააპუროს და სამუშაოთი უზრუნველყოს. სამწუხაროდ, ახლანდელ სინამდვილეში ეს შეუძლებელია, რადგან ყველას საკუთარი თავი აღელვებს, ყველას უფრო და უფრო მეტი უნდა.

ჩემი და ბევრი ქართველის აზრით, ქართველები თავად გახდნენ თავიანთი ერის მტრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოლკლორული ანსამბლი „დარიალი“



2006 წლის გაზაფხულზე ანსამბლ „დარიალს“ 20 წელი უსრულდება, ანსამბლი მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მუსიკალური განყოფილების ხელმძღვანელისა და დირიჟორის, თემურ ქევხიშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით შეიქმნა, ბატონი თემური დღემდე ანსამბლის უცვლელი ხელმძღვანელი გახლავთ.

როგორც წესი, ანსამბლში 6 წლის ბავშვებს იღებენ, მიღება მუსიკალური მონაცემების საფუძველზე ხდება, მოწონებული ბიჭებს ასაკობრივ ჯგუფებში ანაწილებენ, მოსამზადებელი საფეხურის გავლის შემდეგ ისინი გუნდში გადადიან. ყველა ბავშვს ერთნაირად ჩამოყალიბებული მუსიკალური მონაცემები არა აქვს, ამიტომაც თითოეულთან ფრთხილი, გულმოდგინე, ინდივიდუალური მუშაობა მიმდინარეობს, იხვეწება სასიმღერო ოსტატობის ყველა კომპონენტი, მერე კი როცა სიმღერაც გაიმართება და ხმაც ჩამოყალიბდება და, როგორც ბატონი თემური ამბობს, ბავშვს შეუძლია სიმღერას შენობით დაელაპარაკოს, ის გუნდთან ერთად მღერის.

–საქართველოს ისტორია დაწერილი რომ არ ყოფილიყო, იგი ქართული ხალხური სიმღერით დაიწერებოდაო, – მიაჩნია „დარიალის“ ხელმძღვანელს თემურ ქევხიშვილს. მან თბილისის სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე სწავლის წლებში ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი „გორდელა“, რომელიც 1962 წელს ქ. სოფიაში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი გახდა. 1967-74 წლებში ბ-ნი თემური ხელმძღვანელობდა მის მიერ შექმნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდს. მოგვიანებით მან საქართველოს რადიო – ტელე-მაუწყებლობის კომიტეტთან ჩამოაყალიბა ვაჟთა გუნდი, იმავე პერიოდში იყო თბილისის 22-ე სამუსიკო სკოლის დირექტორი, უძღვებოდა ქართული ხალხური სიმღერის ტელეგაკვეთილებს, 1989 წელს კი მან შექმნა კიდევ ერთი ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ოროველა“. თემურ ქევხიშვილი არის მრავალი რესპუბლიკური და სა-



ერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი და რაც მთავარია – ქართული ხალხური სიმღერების უბადლო მცოდნე და შემსრულებელი.

ბატონ თემურს მიაჩნია, რომ ხალხური სასიმღერო ფოლკლორი ყველა მოზარდმა უნდა იცოდეს, რადგან ხალხური სიმღერა ყოველთვის იყო, არის და იქნება ხალხის სულის სარკე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ხალხური სიმღერა ერისთვის დღეს, როდესაც ასე მოძალებულია ყოველივე უცხოური და იმის საფრთხე გვემუქრება, რომ დღევანდელ მოზარდებს, ახალგაზრდებს აღარ ეცოდინებათ, საიდან მოდიან და საით მიდიან, რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი შეიძლება გავხდეთ.

„დარიალმა“ შორს გაიტანა შეუდარებელი ქართული ხალხური სასიმღერო ფოლკლორი. თემურ ქევხიშვილსა და მის ბიჭებს უსმენდნენ პოლონეთში, გერმანიაში, თურქეთში, საფრანგეთში, რუმინეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქართული ხალხურ სიმღერებთან ერთად „დარიალის“ რეპერტუარში მსოფლიოს ხალხთა სიმღერები და ცალკეულ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიც არის. უახლოეს მომავალში ანსამბლი პოლონეთში გაემგზავრება, სადაც ლაურეატთა კონცერტში მონაწილეობის მისაღებად არის მიწვეული. „დარიალი“ საერთაშორისო საეკლესიო კონკურსის ლაურეატი და გრან-პრის მფლობელია და ამჯერად სწორედ ამ რანგში წარდგება მსმენელის წინაშე.



# უნდა გაგაოცოთ

### შეუძლია თუ არა კატას ენის გამოყოფა?

არ დაიჯეროთ! კატას ბევრი რამ შეუძლია, ენის გამოყოფა კი არავითარ შემთხვევაში. ამ ფოტოფანდის საიდუმლო გამოსახულების კომპიუტერულ დამუშავებაშია. თავიდან ფოტოგრაფმა კატას ბევრი სხვადასხვანაირი სურათი გადაუღო, მერე კი კომპიუტერული ეშმაკობებით მას ტანზე თათების და დაღებული პირის გამოსახულება მიუსადაგა. ყველაზე ძნელი კატისთვის პირის დაღებინება აღმოჩნდა. საამისოდ ფოტოგრაფმა კნაჭილის მოყვარული ფისო შეარჩია, რამდენიმე სურათი გადაუღო მას, მერე კი კომპიუტერში იმუშავეს და აი ასეთი სახალისო ფოტო მიიღეს.



### სპილო მსუბუქ ავტომანქანაში?

არ არსებობს ისეთი სპილო, რომელიც მსუბუქ მანქანაში ჩაჯდება და არც ისეთი მსუბუქი მანქანა არსებობს, რომელშიც სპილო ჩაჯდომას შეძლებს. ეს ფოტოსურათიც ფოტოგრაფიისა და კომპიუტერის ერთობლივი ხრიკების შედეგია.



### მოტოციკლისტი ძაღლები

შეიძლება საგანგებოდ საცირკო წარმოდგენისთვის გაწვრთნილმა ძაღლებმა რამდენიმე წუთი გაძლონ ასევე საცირკო წარმოდგენისთვის განკუთვნილ მოტოციკლზე, მაგრამ მოტოციკლისტის სათვალეს არც ერთი მათგანი არ გაიჩერებს და, რაღა თქმა უნდა, ვერც საფირმო მოტოციკლის მართვას შეძლებს ჩვენი რომელიმე, თუნდაც ძალზე გონიერი ოთხფეხა მეგობარი. ამ ფოტოს შექმნაც კომპიუტერის საშუალებით მოხერხდა.



### შეგიძლიათ კუ ღრუბლამდე ააფრინოთ

ხედავთ, სადამდე ახტა კუ სპორტული მფრინავი თეფშის დასაჭერად – ლამის ღრუბლებს გაუსწორდა! ესეც ფოტოხელოვნებისა და კომპიუტერის განუსაზღვრელი შესაძლებლობების სინთეზის შედეგია.



### კატა საპნის ქაფში

ამ სახალისო გამოსახულების შესაქმნელად მისმა ავტორებმა ცალცალკე გადაიღეს კატაც, სათამაშო იხვიც, ჯაგრისიც, აბაზანაც და საპნის ქაფიც, მერე ყველაფერი შეაერთეს და ასეთი თავშესაქცევი სურათი მიიღეს.



### შეიძლება დინოზავრის ჩონჩხსაც წააწყდეთ

ზევიდან გადაღებული დინოზავრის ჩონჩხის მულაჟის სურათისა და გაზონზე ბარით მომუშავე მამაკაცის ფოტოს ოსტატური შეერთებით კომპიუტერმა ასეთი ორიგინალური გამოსახულება შექმნა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...“

**წარმოგიდგენთ ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის დირექტორს ქალბატონ ლალი ყარალაშვილს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. ერთი წელი განაწილებით იმუშავა წალენჯიხაში. 1967 წელს დაბრუნდა ქისტაურში და მუშაობა დაიწყო ადგილობრივ საშუალო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად, იმუშავა ორგანიზატორად, 1990 წლიდან კი დირექტორია.**

დიდი ქართველის, რაფიელ ერისთავის სამშობლო – ახმეტის რაიონის სოფელი ქისტაური დღესაც ამაყობს მისით, მისი ღვაწლით ერის წინაშე, უფრო მეტიც მას სოფელში კულტურის ფუძემდებლადაც მოიხსენიებენ. რ. ერისთავის მუზეუმს სისტემატურად სტუმრობს დამთვალიერებელი. ამ სოფელში ოდითგან იგრძნობა ქართული ენის ხიბლი, შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველა პოეტია და ყველა მომღერალია, უყვართ ქისტაურელებს ხელოვნება. წარსული კულტურული ცხოვრების კვალი ცოდნის კერასაც ატყვია. თავად კიაზო ერისთავის ნასახლარზე ორ ბურჯს შორის აშენებულ სკოლას 2006 წელს 120 წლისთავი უსრულდება. სკოლას დიდი ეზო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და საცდელი ნაკვეთი აქვს, სადაც მოსწავლე-მასწავლებლები საკუთარი შრომით მოწეულ მოსავალს იმკიან. სკოლას წლების მანძილზე არ ჰქონდა სააქტო დარბაზი, რასაც მტკივნეულად განიცდიდნენ პედაგოგებიც და მოსწავლეებიც, რადგან ბევრი საინტერესო ჩანაფიქრის განხორციელებაში ეშლებოდათ ხელი. მაგრამ აკი ნათქვამია, თუ გული გულობსო და უსახსრობის მიუხედავად საკუთარი ძალებითა და მცირედი შემოწირულობებით 90-იან წლებში, დიდი სიდუხჭირის ჟამს დაიწყეს 300 კაციანი დარბაზის მშენებლობა. ამ თემაზე ყოველთვის სიამაყით საუბრობენ სკოლაში. რომ არა უდიდესი სურვილი და შემართება, მცირე თანხებით ამ დარბაზის აშენება ვერ მოხერხდებოდა (შემოწირულობა მასალის ხარჯსაც კი ძლივს ფარავდა). ახლა დარბაზს რემონტი სჭირდება, მაგრამ საოცრება ის არის, რომ დარბაზის ერთ კედელზე თავისით გამოისახა დიდგვაროვანის პორტრეტი წარწერით „თეიმურაზი“, ეს პორტრეტი დამუშავდება და რემონტის შემთხვევაშიც ხელშეუხებელი დარჩება.

სკოლაში მომზადებულმა სამმა სხვადასხვა პროექტმა კონკურსში გაიმარჯვა და გრანტებიც დაიმსახურა. როგორც რაიონის განათლების კოორდინატორმა ქ-ნმა ციცინო ფიცხელაურმა გვითხრა, ქისტაურის სკოლის რემონტი სამომავლო გეგმაშია.

სკოლის მრავალწლიანი ცხოვრების საამაყო ფურცლები მძივებივით



სცენა სასკოლო სპექტაკლიდან

აუკინძავთ და საინტერესოდ წარმოუდგენიათ ერთ პატარა და მყუდრო ოთახში, სკოლის მუზეუმი რომ ჰქვია. ცალკე კუთხეში წარმოდგენილები არიან ყოფილი დირექტორები: სოლომონ ხოსიაშვილი, ზახარა ალბორიშვილი, ღვაწლმოსილი პედაგოგები ოლა კვიცაშვილი, ეთერ ყურულაშვილი, ეთერ მძევაშვილი, კალე ობოლაძე, შოთა ბორჩაშვილი, იზა ზარიძე... სტალინური პრემიის ლაურეატი, აბრეშუმის მურის ჩქაროსნული მეთოდის ოსტატი, მეაბრეშუმე ოსანა აივაზაშვილი და სკოლის მრავალი სხვა სახელოვანი აღზრდილი.

ამავე სკოლაში აღიზარდა ორი დიდი ქველმოქმედი ბიზნესმენი ნოდარ მანველიშვილი (მეტსახელად შმაგა) და ელგუჯა ჭილაშვილი, რომლებიც ადრე წავიდნენ იმქვეყნად, და ძალიან დააკლდნენ მშობლიურ სკოლასაც და სოფელსაც, როგორც ქისტაურელები ამბობენ, ქველმოქმედება მათი სულის ნაწილი იყო.

სკოლაში დღესაც ტრადიციულად ღირსეული თაობა მოდის. აქ ინტელექტუალური თამაშის „ეტალონის“ ორი გამარჯვებული ჰყავთ – მიშიკო ჭაბუკაშვილი და სუპერგამარჯვებული თინიკო მაისურაძე, პატარა მარი ყალამაშვილი კი საუკეთესო მუსიკალური მონაცემებით „12 მტრედში“ ლიდერობს.

სკოლას სათავეში ბაგრატიონებისა და ერისთავების ჩამომავალი ქალბატონი ლალი ყარალაშვილი უდგას, რომელიც თავის სათქმელს მუშაობის პირველი დღიდანვე ამბობს. ქ-ნი ლალის ძალისხმევით მოეწყო რაიონში ერთ-ერთი საუკეთესო ქიმიის კაბინეტი, რომელმაც განათლების სამინისტროს „ყვითელი დიპლომი“ დაიმსახურა. მისივე დანერგილია ქიმიის სწავლებაში ჩანაცვლების მეთოდის გამოყენება. ქიმიის სწავლებისადმი მიძღვნილი მისი არა ერთი ნაშრომი დაიბეჭდა ჟურნალში „ქიმია და ბიოლოგია სკოლაში“. ქისტაურის სკოლის ქიმიის კაბინეტი და ლალი ყარალაშვილის გაკვეთილები კურსებზე მოვლინებული მოსწავლეებისთვის თე-

ლავის პედაგოგიური ინსტიტუტის დახელოვნების ბაზად ითვლებოდა. საინტერესოდ მუშაობდა აქ ქიმიის სკოლა-კლუბი. ქ-ნი ლალის ღვაწლი თბილისის უნივერსიტეტის, მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს განათლების სამინისტროს I და II ხარისხის დიპლომებით, მრავალრიცხოვანი მადლობებით აღინიშნა. გარდა ამისა, მას მხატვრული კითხვისთვისაც არა ერთი ჯილდო აქვს მიღებული. საქმე ის არის, რომ ამ ჩინებულ პედაგოგსა და უნარიან ხელმძღვანელს ჟურნალისტის და ხელოვანის ნიჭიც უხვად აქვს მომადლებული. სკოლაში დადგენილია ინტეგრირებული სწავლება (X კლასში), ინტერაქტიური გაკვეთილები, გაწყვილებული გაკვეთილები, განზოგადების გაკვეთილები. ასეთი გაკვეთილების ნორმალურად წარმართვისთვის საჭიროა კლასთან სერიოზული მუშაობა, მოსწავლეებისათვის საფუძვლიანი ცოდნის მიცემა თემის ირგვლივ, მათში საკუთარი აზრის გამოთქმის უნარ-ჩვევების გამომუშავება და რაც მთავარია, მოტივაციის ამაღლება სასწავლო მასალის მიმართ. აქაურმა მასწავლებლებმა სწრაფად აუწყვეს ფეხი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმას და დღეს სკოლა თანამედროვე სტანდარტების დონეს უახლოვდება. მუშაობისთვის, კარგად ჩატარებული რემონტისთვის სკოლას 4 კომპიუტერი გადაეცა (გეგმაში აქვთ დენის უწყვეტი მიწოდებისთვის გენერატორი შეიძინონ), ინერგება პორტფოლიოს, 10 ბალიანი შეფასების სისტემა, მაღალ დონეზე ტარდება ღია კარის დღე (რაიონული მასშტაბით). სკოლაში მოსწავლეთა თვითშემოქმედებასაც დიდი ყურადღება ეთმობა, ფუნქციონირებს თოჯინების თეატრი, იმართება თეატრალური წარმოდგენები, ჰყავთ შესანიშნავი პაროდისტები ზურა ხოსიაშვილი, ზურა დავითაშვილი. დიდი მოწონებით სარგებლობს სკოლის ფოლკლორული ანსამბლი (ხელმძღვანელი გიორგი უშიკაშვილის). საჩხერეში, საგალობლების რესპუბლიკურ ფესტივალზე ქისტაურელთა „ალილომ“ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, ანსამბლი დიპლომითაც დაჯილდოვდა. სკოლაში შექმნილია აგრეთვე ვაჟ მასწავლებელთა გუნდი და ქალთა გუნდი „მუქუეთი“. ამ სკოლის კურსდამთავრებულები ელბერტ იმერლიშვილი და ლევან აივაზაშვილი დღეს ცნობილი მუსიკოსები არიან.

წარმატებები აქვთ ქისტაურელ მოსწავლეებს სპორტშიც. ფიზკულტურის პედაგოგი ბ-ნი შოთა ფშაველაშვილი სულით ხორცამდე ფეხბურთელია, სკოლაში მას სამი ასაკის ფეხბურთელთა გუნდი ჰყავს. ბავშვმა მოჭარბებული ენერგია სკოლაში უნდა დახარჯოს და არა ცუდი ზრახვების განხორციელებაში, – მიაჩნია ბატონ შოთას. იუნისეფმა საქართველოს ხუთ სკოლას გაურემონტა სპორტდარბაზი და საჩუქრად მაისურები და ინვენტარი გადასცა – აქედან ერთ-ერთი ქისტაურის სკოლა იყო. სამივე გუნდი თანატოლებს შორის ლიდერობს, საშემოდგომო პირველობა რაიონული მასშტაბით უკვე მოიპოვეს და ახლა ფინალში გასასვლელად ემზადებიან.


სცენა სასკოლო სპექტაკლიდან

სკოლაში პირველი – მეექვსე კლასის ჩათვლით ფუნქციონირებს მსოფლიო სასურსათო პროგრამა. პედაგოგები და მოსწავლეები ხშირად აწყობენ საქველმოქმედო აქციებს. აქ ყველაფერში იგრძნობა, რომ სკოლას განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება აქვს წიგნთან, პრესასთან. ეს კი უწინარესად სკოლის ბიბლიოთეკარის გიული ვარდოსანიძის დამსახურებაა. ქალბატონი გიული სკოლის დირექტორს ყველა საქმეში მარჯვენა ხელად, მოსწავლეებს კი კეთილ მრჩევლად და დამხმარედ ეგულებათ. (გ. ვარდოსანიძეს ბიბლიოთეკარობა შთამომავლობით მოსდგამს, იგი ცნობილი ბიბლიოთეკარის სააკაშვილის შვილია). რა უნდა სჭირდებოდეს მოსწავლეს, ის რომ არ დაეხმაროს, – უძიებს ლიტერატურას, აძლევს მიმართულებას და ამიტომაც არის პატარა ბიბლიოთეკაში ასეთი სიმრავლე ნებისმიერ დროს.

სკოლას შესანიშნავი პედაგოგები ჰყავს. ქ-ნი ლალი თავს იკავებს მათი ჩამოთვლისგან, ეშინია. რომელიმე არ გამორჩეს და გული არ ატკინოს. თუმცა მე მაინც დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: დარეჯან თურმანაული, ჟუჟუნა არაბული, ელენე ხოსიაშვილი, მზია ხოსიაშვილი, მაყვალა ბურძიკიძე, ლია ადამაშვილი, მარიკა ბოგვერაძე, ლუიზა ლეკიშვილი (ქ-ნი ლუიზა საბავშვო სიმღერების ტექსტებს და მუსიკას წერს), ნანა ქაჩლიშვილი, თამილა ფშაველაშვილი და მრავალი სხვა.

სკოლას წინსვლა-წარმატებებში რაიონისა და სოფლის ხელმძღვანელობის ყურადღება და ზრუნვაც ძალიან ეხმარება. არა ერთხელ დაეხმარნენ განათლების ამ უძველეს კერას ახმეტის რაიონის თუ სოფლის გამგეობა-საკრებულოს ხელმძღვანელობა, ბატონები ნუკრი ღუბიანური, თამაზ ღადალაშვილი, ჯუმბერ მაილაშვილი.

ქისტაურის სკოლის პედაგოგებიც და მოსწავლეებიც აწყურის თეთრი გიორგის და ალავერდის მრევლი არიან. ისტორიული წარსულის მქონე სკოლაც ნაკურთხებია და აქ ყოველი და ყველაფერი მართლმადიდებლური მადლით არის მოსილი.

**მანანა ჯანგირაშვილი**

## გაზაფხული

ქარმა ხელიდან გამომტაცა ატმის ყვავილი,
გამომტაცა და გააქროლა თავის ფეხდაფეხ,
ატმის ყვავილიც მინდობილად
გაჰყვა ქარს გაღმა,
მე ვხედავ ქარი ატმის ტოტებს როგორ
ლეწს და ტეხს.
მიმობნეული ყვავილები ამკობენ ქუჩას,
ფანტელებივით ფარფატებენ, ფარავენ მიწას,
შორიდან ქუჩა დაზამთრებულ
ადგილს გვაგონებს,
მაგრამ სურნელი გაზაფხულს ხელს
ვეღარ შეუშლის,
აფეთქებულან ნორჩი ხენი, ყვავილი ცვივა,
მოფრენილ ჩიტებს ჟივჟივს
უკვე ვერვინ დაუშლის!

**თიკო შარიქაძე,**
**რუსთავის მე-2 საშუალო, IX კლასი**

---

## რა კარგია ბავშვობა

ეს ნიავი რას ღლაბუცობს
ამიწეწა თმა.
შენ ჩემკენ არ იყურები
რას გაჰყურებ გზას?!
ამ ხეებმაც წამოიწყეს მხიარული როკვა,
მე კი ნიავს შენკენ ვატან გაუბედავ კოცნას,
მერე ღიმილს მოგპარავ და
ჩავიხუტებ კოცნას,
მერე ღიმილს მოგპარავ და ჩავიხუტებ გულში,
მე ჩემს პატარა სიყვარულს
გადავმალავ სულში.
ეს პატარა ანცი წვიმა რაღამ გაათამამა?
ჩემთან თამაშიც მოუნდა,
მე რომ ბავშვი აღარ ვარ?!
ჩემთან მოვა, თმას მომწიწკნის,
მერე ჩუმად დამცინის,
ერთიც ვნახოთ როგორია გაკიდება აჩრდილის
ჩუმად მივეპარები და მეც მოვწიწკნი ქოჩორს,
ჰოდა, ისიც აღარ მორწყავს
ჩემი ვარდის კოკორს...
მერე ისევ სიცილი, მერე ისევ გართობა,
რა კარგია ზაფხული, რა კარგია ბავშვობა!

**სალომე კობაიძე,**
**ქ. რუსთავის მე-2 საშ. სკოლა, IX კლასი**



**ხატია ბაზერაშვილი,**
**ქ. რუსთავის სკოლა „ნაკადული", VII კლასი**

---

## მენატრება

დედამ მითხრა მენატრება აკაციის სურნელიო.
ის სურნელი მე კი აღარ მახსოვს.
მახსოვს მხოლოდ სოხუმელი მტრედები,
თოლიების გუნდი ზღვას რომ ათოვს.
მენატრება მოღუღნე მტრედები,
ჩემს ფანჯრიდან დანახული ზღვა.
ჩამოფრინდით და მეც აგედევნებით,
თორემ თვითონ აღარ ვიცი გზა.

**თამუნა გურჩიანი,**
**ქ. რუსთავის მე-2 საშ. სკოლა, X კლასი**

---

**გვანცა გიორგაძე 1997 წელს ქ. მოსკოვში დაიბადა.** ბებო სულ პატარაობიდანვე უკითხავდა ქართულ ლექსებსა და ზღაპრებს, ენაც პირდაპირ „თავისებური ლექსით" აიდგა. მას შემდეგ წერს... უყვარს პოეზია და ბუნებაში ხეტიალი.

## სიყვარულის მზე

შეხედეთ, რა ლამაზად წვიმს,
ოქროსფერ მზეს რა შეედრება.
უყურე ამ ოქროსფერ მზეს,
უყურე სიყვარულის მზეს,
სანატრელსა შენი თვალების.
ცრემლები მაგონებდა სიყვარულის მზეს.

# ბიბლიოთეკა, რომელსაც მკითხველი არასდროს აკლდება

რუსთაველ პატარებს ხუთი საბავშვო ბიბლიოთეკა ემსახურება. ერთ-ერთი მათგანი ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე „ნაკადულია“. ბიბლიოთეკის გამგე ქ-ნი ასმათ კოხტაშვილი და მისი სამი თანამშრომელი, ქალბატონები ცირა გუგუშვილი, მარინა ჯაგაშვილმი და ლალი ბაკურაძე მუდამ სიყვარულით სავსე მზერითა და თბილი ღიმილით ეგებებიან მკითხველებს.



ბიბლიოთეკის ერთ კედელს თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნების კათედრის ყოფილი გამგის ბ-ნ სოსო ჯინჯიხაშვილის ხატოვანი პანო ამშვენებს, რომელიც ძალიან უყვართ პატარებსაც და დიდებსაც, ის კი არა, ხშირად ქუჩაში გამვლელები გამჭვირვალე მინებიდან დანახულს არ სჯერდებიან და მშვენიერი მხატვრობის სანახავად ბიბლიოთეკაში შედიან. სასიხარულოა, რომ დღევანდელ პირობებში, როდესაც წიგნისადმი ინტერესის ერთგვარი განელება იგრძნობა, „ნაკადულს“ მკითხველი არ აკლია. იმ დღეს, როდესაც ჩვენ ვეწვიეთ ბიბლიოთეკას, იქ გიმნაზისტი გოგონები მარინა ვადაჭკორიას და იუითა ჭიჭიაშვილის მოსწავლეები მარი ბადაგაძე და თამუნა პეტრიაშვილი დაგვხვდნენ, რომლებიც სასკოლო პროგრამის თემაზე მუშაობდნენ და კრწანისის ბრძოლის შესახებ არსებულ ლიტერატურას ეცნობოდნენ.

როგორც ბიბლიოთეკარი ქ-ნი ცირა გუგუშვილი აღნიშნავს, ხშირია მოთხოვნა საცნობარო ლიტერატურაზე, ქართველი და უცხოელი მწერლების წიგნებზე, სათავგადასავლო და ფანტასტიკური ჟანრების ნაწარმოებებზე, ზღაპრებზე და ჩვენდა სასიხარულოდ, ჟურნალ „ნაკადულზეც“.

ბიბლიოთეკაში 21 000-მდე წიგნია და მკითხველთა ინტერესი თითქმის ყოველთვის კმაყოფილდება. ტერიტორიული სიახლოვის გამო აქ ხშირად სტუმრობენ გიმნაზიის, №7, №17,№12 სკოლების მოსწავლეები, თუმცა მკითხველები უფრო შორიდანაც ხშირად მოდიან. განსხვავებული, უფრო თბილი და ახლო ურთიერთობა აქვს ბიბლიოთეკას თავის სეხნია კერძო სკოლა „ნაკადულთან“.

ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა სხვადასხვა სახის შემეცნებითი, შემოქმედებითი თუ გასართობი ღონისძიებები, იმართება ყოველთვიურები, ამჟამად „ხალხური პოეზიის დილისთვის“ ემზადებიან. ამ სამზადისში აქტიურად არიან ჩართულნი ქალაქის №7, №17 სკოლები და გიმნაზია.

–ჩვენი მკითხველი ყოველთვის გვერდით გვიდგას, – ამბობს ბიბლიოთეკის გამგე ქ-ნი ასმათ კოხტაშვილი. – მართალია, ზემდგომი ორგანოები გვეხმარებიან, მაგრამ თანამედროვე ლიტერატურის შეძენა მაინც გვიჭირს. ბევრი ქალაქში ცნობილი ადამიანი მაგალითად, გივი ჯახუა, თამაზ არსენიშვილი, აკაკი ქილიტაშვილი და სხვები საკუთარი საოჯახო ბიბლიოთეკიდან გვჩუქნის წიგნებს, ზოგი ფინანსური შემოწირულობით გვეხმარება (ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ყველა მათგანს ჩვენი კოლექტივის სახელით მადლობა გადავუხადო) – ასე ვახერხებთ ამა თუ იმ წიგნის შეძენას და სასურველი ჟურნალის გამოწერას. რაც შეეხება ძველ წიგნებს, ჩვენ მათი ჩამოწერის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ. ამ ზაფხულს გიმნაზიის პედაგოგი ქ-ნი იანა კაშია დაგვეხმარა და მოსწავლეებთან ერთად ბევრი წიგნი გავაახლეთ, ისე რომ, რესტავრირებული წიგნიც ასრულებს თავის ფუნქციას. პრობლემას გვიქმნის წიგნებისდაგვიანება. გვინდა ვთხოვოთ მკითხველს, მითითებულ დროს დაგვიბრუნოს წიგნი, მას ხომ სხვა მკითხველიც ელის.

**მანანა ჯანგირაშვილი**

ქ. რუსთავი

# ასეთი სკოლაც არსებობს – კლას-კომპლექტი

ახმეტის რაიონის სოფელ კოლოთოს შარაგზა ის გზაა, რომელიც ალავერდის ტაძრამდე მიგიყვანთ, სწორედ ამ გზაზე მდებარეობს მომცრო შენობა, რომელშიც განთავსებულია აქამდე პირველდაწყებით სკოლად წოდებული, დღეს კი სოფელ ოჟიოს სკოლის დანამატად ქცეული ორი კლას-კომპლექტი. აქ სამი პედაგოგი მუშაობს: ტასიკო (ნანა) ტურაშვილი, მთვარისა გაგნიძე და აწ უკვე ყოფილი დირექტორი ქ-ნი სოფიკო ციგროშვილი.



უჩვეულო სასწავლებელში მეხუთე კლასამდე სწავლობენ. – პატარებს უჭირთ შორ მანძილზე სიარული, ამიტომ დავრჩით ტერიტორიულად ჩვენს სოფელში, – გვითხრა ქალბატონმა სოფიკომ, – რაიონის და სოფლის გამგებლის წყალობით ჭერიც შევაკეთეთ, ისე რომ შენობას არა უჭირს, თუმცა, თანამედროვე სტანდარტებამდე ბევრი გვიკლია. მიუხედავად ამისა, სწავლის ხარისხი მაღალია. ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ მათემატიკა, თუმცა, სხვა საგნებსაც ინტერესით სწავლობენ. წარმატებული მოსწავლეებიც გვყავს: ნელი მეჭურჭლიშვილი, მეგი ჟანგირაშვილი, ანა დარჩიაშვილი... ჩვენთან დაფრთიანდა ლევან ჭიჭიკოშვილი, რომელიც ამჟამად ოჟიოს სკოლის მეხუთეკლასელია. აქ, ჩვენთან, ისწავლეს ანი-ბანი დღეს უკვე სტუდენტებმა ბელა ქართველიშვილმა და ხათუნა ბრეგვაძემ.

ბევრმა ღირსეულმა შვილმა ჩაუყარა თავის ცოდნას საფუძველი ამ სკოლის კედლებში, რომელსაც დღეს ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოს სკოლის კლას-კომპლექტი ჰქვია. ისედაც პატარა სოფელი დღითიდღე უფრო პატარავდება, ბევრი წავიდა ქალაქში საცხოვრებლად. სოფელში არც კლუბი ფუნქციონირებს და არც სხვა გასართობია და ჩვენი ბავშვების გართობა სკოლაში გამართული ტრადიციული ღონისძიებებია და ვცდილობთ, ჩვენს პატარებს ცხოვრება გავუხალისოთ. დღეს ახმეტის რაიონის სოფ. ოჟიოს საშუალო სკოლის კლას-კომპლექტი გვქვია, ტრადიციებს არც მომავალში ვუღალატებთ და ღირსეულ თაობას კვლავ და კვლავ აღვზრდით.



### როგორ გაჩნდა სანტა-კლაუსი?

რამდენიმე ასეული წლის წინათ ევროპის ხალხთა ლეგენდებში კეთილი ზღაპრული გმირი, თოვლის პაპა ანუ სანტა-კლაუსი დამკვიდრდა. საცხოვრებლად სანტა-კლაუსმა ლაპლანდია აირჩია და თუმცა აქ რამდენიმე სახელმწიფოს საზღვარი გადის, ფინელებს სწამთ, რომ სანტა სწორედ მათ ტერიტორიაზე ცხოვრობს. კეთილი თეთრწვერა ჯადოქარი თავის მეუღლესთან უორისთან და ქონდრის კაცებთან ერთად რუსეთის საზღვართან, კორვატუნტურის მთაზე პატარა ქოხში ცხოვრობდა, მაგრამ რადგან ეს ადგილი ცივილიზაცის მთლიანად მოწყვეტილი იყო, იგი უფრო ახლოს, ჩრდილო-პოლარულ წრეში, ქალაქ როვანიემის სიახლოვეს გადმოსახლდა. 1950 წელს ფინელებმა აქ თოვლის პაპას პატარა ქოხიააშენეს, მას შემდეგ კარგა მოზრდილი სოფელი გაშენდა, რომელსაც მნახველები მთელი წლის განმავლობაში არ აკლია. ამ დაბიდან 2 კილომეტრის მოშორებით არის სანტა პარკი. სადაც მთელი წელი მუშაობს კეთილი ქონდრის კაცების – თოვლის პაპას მოსწავლე თანაშემწეების სკოლა.

სახელი სანტა-კლაუსი სიტყვა-სიტყვით წმინდა ნიკოლოზს ნიშნავს. ქალაქი მირი (ახლანდელი დემრე), სადაც ნიკოლოზი ეპისკოპოსად იყო და 330 წელს გარდაიცვალა, ლიკიის პროვინციაში, ამჟამინდელი თურქეთის სამხრეთით, ანტალიის მახლობლად მდებარეობს. მართლმადიდებლური ტრადიცია არც ახალ წელს უკავშირებს ამ წმინდანს, და არც თოვლიან ზამთარს. იგი მეზღვაურთა და მოგზაურთა მფარველად ითვლება. წმინდა ნიკოლოზი დიდი ქველმოქმედი ყოფილა და სწორედ ამიტომ შერაცხავს ეკლესიას იგი წმინდანად. მას შემდეგ, რაც ჩრდილო ევროპაში ქრისტიანობა გავრცელდა, ადამიანებმა, რომლებიც სასწაულებზე ოცნებობდნენ, წარმართული და ქრისტიანული სახეები გააერთიანეს და ასე გახდა სკანდინავიური მითოლოგიის მრისხანე გმირი ოდინი კეთილი პერსონაჟი, წმინდა ნიკოლოზმა – სანტა-კლაუსმა კი ჩრდილოეთის ირმებშებმული მარხილით დაიწყო მოგზაურობა.

### რატომ მოგზაურობს სანტა ირმებშებმული მარხილით?

სანტა-კლაუსმა გადაადგილების საშუალებად ჩრდილოეთის ირმები იმიტომ აირჩია, რომ ასე სწრაფად და დიდხანს თოვლშიც, ყინულზეც, ტყეშიც და ჭაობშიც სხვა ვერც ერთი ცხოველი ვერ ირბენს. ჩრდილოეთის ირმებს ფეხის შუა თითებზე განიერი და მოხრილი ჩლიქები აქვს, რომლებიც შეერთებული სახით პატარა თხილამურებს ემსგავსება. ნაპირა თითების ჩლიქები დაბლაა განლაგებული, სიარულში მიწას ეხება და დამატებით საყრდენს ქმნის, ამიტომ ჩრდილოეთის ირმებს ზამთარში ღრმა თოვლი არ აშინებს, ზაფხულში კი ჭანჭყობი. მაგარი წინა ფეხებით ირემი თოვლში ისე მუშაობს როგორც ბარით, გარდა ამისა, იგი ფეხებით ნადირის თავდასხმასაც იგერიებს.

გრძელი და ხშირი ზამთრის ბეწვი ირემს ყინვისგან იცავს. ზურგზე წვეტიანი ბალანი 10 სანტიმეტრს აღწევს, კისერზე კი – 30-ს. ბალნის ღერების გული ჰაერით არის სავსე, მათ ქვეშ თბილი და მჭიდრო თივთიკია, რომელიც არც თოვლს ატარებს, არც ქარს და არც ნესტს. ჰაერით სავსე ბალნის წყალობით ცხოველი არ იძირება,წყლის ზედაპირზე ტივტივებს, ამიტომაც არის, რომ ჩრდილოელ ირმებს განიერი მდინარეების გადალახვაც შეუძლიათ და ზღვის სრუტეებისაც.

### ყველაზე გავრცელებული საახალწლო ტრავმები

დადგენილია, რომ ახალი წლის ღამეს ყველაზე გავრცელებული ტრავმაა შამპანურის ბოთლის გახსნისას საცობის მოხვედრით გამოწვეული კოპები და დალურჯებები. მოგეხსენებათ, მთელ მსოფლი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!



ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „საგალობელი“ ხელმძღვანელი **მაია მიქაბერიძე**







ანსამბლი „დარიალი“
ხელმძღვანელი **თემურ ქევხიშვილი**



ქორეოგრაფიული ანსამბლი „მზე“
ხელმძღვანელი **გია განუგრავა**



გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „მანდილი“
ხელმძღვანელი **მაია მიქაბერიძე**



თბილისის 21-ე საჯარო სკოლასთან არსებული ბავშვთა
ქორეოგრაფიული ანსამბლი „თარიკონი“, ხელმძღვანელები
**რატი ტვილდიანი და მაკა მაქაცარია**




ანსამბლი „ლაშქარი“, ხელმძღვანელი **კახა დაშნიანი**



ანსამბლი „სიხარული“,
ხელმძღვანელი **თენგიზ სუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა







ოში თითქმის ყველა დღესასწაულზე, ამა თუ იმ ღირსსახსოვარი მოვლენის აღსანიშნავად, საზეიმო ვითარებაში აუცილებლად სვამენ შამპანურს. ამ ფრანგულ შუშხუნა ღვინოს ახალი წლის ღამესაც აუცილებლად სვამენ, სვამენ მას საქართველოშიც. მაინც რა განასხვავებს შამპანურს დანარჩენი ღვინოებისგან?

სპეციალისტთა განსაზღვრებით, შამპანური წარმოადგენს შუშხუნა ყურძნის ღვინოს, რომელიც ჰერმეტიულად დახუფულ ბოთლებში ან რეზერვუარებში სპეციალურად დამზადებულ-დამუშავებული ღვინომასალის მეორადი დუღილის შედეგად ნახშირმჟავა გაზით არის გაჯერებული.

ფრანგული კანონმდებლობით, შამპანური შეიძლება ეწოდოს მხოლოდ საფრანგეთში, შამპანის პროვინციაში მიღებულ შუშხუნა ღვინოს, ამიტომაც ფრანგები აღშფოთებას ვერ მალავენ, როდესაც რომელიმე ქვეყანაში ადგილზე დამზადებულ ამა თუ იმ შუშხუნა ანუ ცქრიალა ღვინოს შამპანურს უწოდებენ. ბოლო წლებამდე შამპანურის მარკით ჩვენშიც უშვებდნენ ღვინოს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფრანგული კანონმდებლობა ჩვენს ღვინის მწარმოებლებსაც შეეხო და ახლა შამპანურის მსგავს ცქრიალა, შუშხუნა ღვინოებს სხვადასხვა სახელწოდებით ნათლავენ.

## ვინ მორთო პირველად ნაძვის ხე სათამაშოებით?

საშობაოდ და საახალწლოდ ნაძვის ხის დადგმისა და მისი მორთვის ტრადიცია მსოფლიოში გერმანელთა მაგალითით გავრცელდა. თავდაპირველად გერმანიაში ახალ წელს სახლს ჯანმრთელობისა და ბედნიერების სიმბოლოთი – ნაძვის მწვანე ტოტებით რთავდნენ, ტოტებს ჭერში, კოჭებზე ჰკიდებდნენ. მოგვიანებით კი შობის დღესასწაულზე დიდი ნაძვის ხის დადგმა დაიწყეს, რომელსაც ძირითადად ვაშლებით ამკობდნენ, მერე ერთ მოუსავლიან წელს, ნამდვილი ვაშლების ნაცვლად ვიღაცას ნაძვის ხეზე მინის ბურთულების ჩამოკიდება მოაფიქრდა, ასე გაჩნდა ნაძვის ხის ფერად-ფერადი ბურთულებით მორთვის ტრადიცია, რომელიც მერე და მერე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. 1848 წელს საქსონიაში ვერცხლისფერი ბრჭყვიალა ბურთების პირველი პარტია გამოუშვეს, მწვანე ლამაზმანს მართლაც ძალიან მოუხდა ეს სამკაული. გარდა ბურთებისა საშობაო ხეზე ჰკიდებდნენ ბრჭყვიალა და ფერად-ფერად ქაღალდებში გახვეულ პატარა ნამცხვრებს, სანთლებს. ელექტრონათურების გირლიანდით ნაძვის ხეს მორთვა ამერიკელებს მოაფიქრდათ პირველად. მოგვიანებით ნაძვის ხისთვის განკუთვნილი სხვა სათამაშოებიც გაჩნდა: ფრინველები, ცხოველები, ხილი და სხვა. მსგავსი ნათურებით თეთრი სახლის წინ დადგმული ტრადიციული საშობაო ნაძვი აკაშკაშდა. მსგავსი სათამაშოების გამოშვება დაიწყეს პოლონეთში, იაპონიაში, ბოჰემიაში, აშშ-ში, სხვა ქვეყნებში. ამჟამად ყველაზე უკეთეს სათამაშოებს გერმანიის ქალაქ დრეზდენში აწარმოებენ.

## სანტა-კლაუსი კომპიუტერის თაგვში

ახლახან იაპონიაში ერთ-ერთმა ადგილობრივმა კომპანიამ უჩვეულო საახალწლო სუვენირი გამოუშვა. ეს არის ლამაზი საახალწლო საჩუქრის სახით გაფორმებული გამჭვირვალე კომპიუტერული თაგვი. „მაუსის" შიგნით მოთავსებულია სანტა-კლაუსი – სითხით სავსე ჭურჭელი, რომელშიც ფოლგისგან დამზადებული ფიფქები დაცურავს. ამ ორიგინალური კომპიუტერის თაგვის ღირებულებაა 18,5 დოლარი.





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღესასწაული კლუბ „ფლოროში“



ზეიმი საქართველოს ჰიმნის შესრულებით დაიწყო

ნუ გაიკვირვებთ, თუ შეამჩნევთ, რომ აქ წარმოდგენილ თითქმის ყველა ფოტოსურათზე ბავშვებთან ერთად ერთი პირღიმლიანი ქალბატონიც იქნება აღბეჭდილ. ეს ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე გახლავთ, ხოლო საქმე ის არის, რომ როგორც კი თბილისის ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა სასახლეში არსებულ ესპერანტო კლუბში „ფლორო“ კლუბის დაარსების 27 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი დამთავრდა, მას შემდეგ, რაც საგანგებოდ მოწვეულმა ფოტოგრაფმა რამდენიმე საერთო სურათი გადაიღო, თანატოლთაგან ყველაზე თამამი გვერდში ამოუდგა ლამარა მასწავლებელს და მასთან ერთად სურათის გადაღება სთხოვა. აბა უარს როგორ ეტყოდა, როცა თავისი მოსწავლეებისთვის არაფერს იშურებს?! ამხანაგს რომ შეხედეს, სხვებმაც მოინდომეს საყვარელ მასწავლებელთან სურათის გადაღება და...



„ფლოროს“ წევრი, ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლე ქეთი თოდაძე და „ფლოროს“ წევრი ნინო ჩარკვიანი



„ფლოროში“ აღზრდილი, მილორავას სახ. საესტრადო სასწავლებლის კურსდამთავრებული ლიკა ჯანაშვილი



„ფლოროს“ წევრები: სამედიცინო კოლეჯის მოსწავლე მეგი სადარაძე, თამთა გიორგაძე, ნინო ჩიტაური, მარიამ გელაშვილი, ქეთი თოდაძე, ნინო ჩარკვიანი, ლიკა ჯანაშვილი, მილორავას სახ. საესტრადო სასწავლებლის კურსდამთავრებული მაკა ბარბაქაძე

„ფლოროში“ გაერთიანებულ სხვადასხვა ასაკის ყველა ბავშვს ერთნაირად მოუხარია მეცადინეობაზე, სადაც მსოფლიო ენის, ესპერანტოს გარდა, ლამარა მასწავლებელი ქართულ და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ცეკვებსა და სიმღერებს და, რაც მთავარია, სიკეთეს, თანადგომას, ერთგულებას, სიყვარულს, სხვა ხალხების პატივისცემას, სამშობლოს სამსახურისთვის მზადყოფნას ასწავლის. ქალბატონმა ლამარა ცუცქირიძემ 1978 წელს ჩამოაყალიბა



ანი გიორგაძე, თამთა გიორგაძე, გიორგი გაგნიძე, ნინო ჩარკვიანი, ქეთი თოდაძე

ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა სასახლეში ესპერანტო კლუბი „ფლორო“, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ასეთი ტიპის დაწესებულებებში. აქვე შეიქმნა მისი ძალისხმევით ესპერანტოს მუზეუმი, რომელსაც ქალბატონმა ლამარამ თავისი მასწავლებლის, პირველი ქართველი ესპე-



[illegible library stamp]



და-ძმა თამარ და ირაკლი ჭიღლაძეები

რანტისტის გიორგი ბაქრაძის სახელი უწოდა. ამ მუზეუმის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს აკაკის სიტყვები „Mia ikono _ mia patrio, Ikonostaso _ La universo! „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა!“ ამ სულისკვეთებით ზრდის ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე გოგო-ბიჭებს აგერ უკვე ოცდაშვიდი წელია და მისი წყალობით მოზარდები



გიორგი გაგნიძე

მარტო ესპერანტოს კი არ სწავლობენ, არამედ შრომისმოყვარე, ზნეობრივ, განათლებულ, გულისხმიერ, მაძიებელ, ერთი სიტყვით, ისეთ ადამიანებად ყალიბდებიან, რომლებმაც დღეს თუ ხვალ, ქვეყნის მომავალი უნდა ჩაიბარონ. სწორედ ასეთებად უნდა იგულოს საქართველომ ქალბა-



თამარ ჭიღლაძე, ნინო კობახიძე, ნინო აბესაძე, ანი გიორგაძე, ქეთი როსიტაშვილი



ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა სახლის დირექტორი, ქალბატონი ლია გაგნიძე თანამშრომლებთან ერთად

ტონი ლამარას თითოეული მოწაფე. ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე გახლავთ ღირსების ორდენის კავალერი, გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, თბილისის



ანი ჩარკვიანი, თამარ ჭიღლაძე, მარიამ გელაშვილი

ერთგულების მედლის კავალერი, უმაღლესი კატეგორიისა წლის საუკეთესო მასწავლებელი, და კიდევ მრავალი სხვა ჯილდოს მფლობელი, გარდა ამისა, იგი არის გაზეთ „ჩვენ – ქალები“-ს და ჩვენი ჟურნალის კონსულტანტიც.



ქეთინო კობახიძე, თამარ ჭიღლაძე, ანი გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღესასწაული კლუბ „ფლოროში“



„ფლოროში“ აღზრდილი გიორგი ნადირაძის დედა მზია ნადირაძე (გიორგი საქართველოს და ევროპის ჩემპიონია ველოსპორტში.



„ფლოროს“ წევრი რუსუდან ტეფნაძე



„ფლოროს“ წევრები ლაშა და მარიამ გელაშვილები



„ფლოროში“ აღზრდილი, მილორავას სახ. საესტრადო სახწავლებლის კურსდამთავრებული თამუნა ჯიჯურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტან ქუჯრაშვილი

# შობის ღამეს

წმინდა ქალაქის, ბეთლემის შესასვლელთან პირქუში დეკემბერი და გაავებული ქარი ისხდნენ. დეკემბერი, როგორც ყოველთვის, არემარეს მკაცრად გაჰყურებდა, ქარი, როგორც ყოველთვის, ტიროდა, – დაბალ ხმაზე ზუზუნებდა.

–შენმა მოთქმა-ქვითინმა გული მეც კი გამიწყალა, – გაჯავრდა დეკემბერი, – გამაგებინე მაინც, რა გატირებს?

–ოჰ, ოჰ, სევდა მომერია, გული მეფლითება! ნაღველი შემომაწვა! – ქარი უფრო აქვითინდა.

–რას ნაღვლობ?

–თვითონაც არ ვიცი. ეს მწუხარება ვერაფრით ამიხსნია, – წამოიძახა ქარმა, – ასეთია ჩემი ბუნება! თუმცა, რაღა ჩემზე საუბრობ, თვითონ ასეთი სევდიანი რატომ ხარ?

–რა ვიცი, ალბათ ჩემი ბუნებაც ასეთია... გულზე მუდამ აუხსნელი სევდა მაწევს.

–ჩემო სევდიანო მეგობარო, მაშ, ერთად მოვიწყინოთ!

–ჰო, ერთად დავღონდეთ, ჩემო მტირალა მეგობარო.

გრძნობამორეული მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ. ქარი კვლავ დაბალ ხმაზე აზუზუნდა.

მეფე ჰეროდეს ბრძანებით დიდი აღწერა იწყებოდა და ხალხი ქალაქში შესვლას ჩქარობდა. ერთ დაბალ, მელოტ კაცს ქარმა წამოსასხამი მოსტაცა და ტრიალი მინდვრისაკენ წააფრიალა. კაცი მოსასხამს წყევლაკრულვით გაეკიდა. ისე სასაცილოდ გარბოდა, მარად დაღვრემილ მეგობრებსაც კი გაეცინათ.

–ოჰ, როგორ ცივა! თანაც ეს ქარი როგორ უბერავს! – ბუზღუნებდნენ მგზავრები.

ღამდებოდა. ქალაქის ირგვლივ, შემოგარენში მუქი ჩრდილები ტრიალებდნენ. მელოტმა კაცმა გაფრენილი მოსასხამი დაიჭირა, ტანზე შემოიხვია და ქალაქში ბუზღუნ-ბუზღუნით შევარდა. ქარსა და დეკემბერს ღამის სიბნელე ძალიან უყვარდათ. ღამით დაგვიანებული მგზავრების ფარნები ციცინათელებივით ციმციმებდა, ორი მეგობარი კი იჯდა და ამ ციმციმის ცქერით ერთობოდა.

უეცრად მინდორს უჩვეულო ნათელი მოეფინა. ცისფერი ნათება გაოცებულ მეგობრებს ნელ-ნელა უახლოვდებოდა.

–ეს რა არის? – წამოიძახა გაოცებულმა დეკემბერმა.

–ნუთუ, მთვარეა? – ქარმა მაღლა აიხედა, მაგრამ მთვარე ღრუბელს ამოფარებოდა. ვარსკვლავები კი აქა-იქ სუსტად ბჟუტავდნენ.

ქალაქის კარიბჭეს ორი დაგვიანებული მგზავრი უახლოვდებოდა. ქალი სახედარზე იჯდა, კაცი წინ მიუძღოდა. ცოლ-ქმარს ფეხდაფეხ უცნაური ნათელი მოსდევდა.

–ეს რა საოცრებაა! – დეკემბერი ფეხზე წამოიჭრა, – ვის უნახავს, დეკემბრის ბნელი ღამე ასე განათებულიყო!

–რა მომდის? – აფორიაქდა ქარი, –



გული აუხსნელი სიხარულით მევსება, რაღაც უჩვეულო გრძნობა დამეუფლა...

–მე ისეთ სითბოს ვგრძნობ, თითქოს ზამთრისა კი არა, ზაფხულის ცხელი თვე ვიყო, თითქოს რაღაც აუხსნელი ბედნიერება მეწვია...

აღელვებული მეგობრები უცნაურ ცოლ-ქმარს ყურადღებით აკვირდებოდნენ. ქალს მშვენიერი სახე გაფითრებოდა, ლამაზი, გრძელი თითებით თავსაბურავის ოქროსფერ ფოჩებს წეწავდა, მისი მზერა დიდ მღელვარებას აშკარავებდა.

ქალაქის შემოგარენი დღესავით განათდა.

–ბეთლემში საკუთარი ფეხით შევალ, – წაიჩურჩულა ქალმა, – აქაურობა სახელს მალე გაითქვამს... – კაცი მას სახედრიდან ჩამოსვლაში დაეხმარა და მზრუნველობით სავსე მზერა მიაპყრო.

–შეძლებ?

–ყველაფერს შევძლებ, – მტკიცედ მიუგო ქალმა, – განსაცდელს უფალი დამაძლევინებს.

მან კარიბჭესთან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

–ეს რა საოცრებაა! – ერთხმად წამოიძახეს ქარმა და დეკემბერმა.

მშვენიერი ქალის ფერხთით, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას, ულამაზესი, სპეტაკი შროშანი ჩნდებოდა, თუმცა ამ საოცარ სანახაობას დეკემბრისა და ქარის გარდა ვერავინ ხედავდა. ზებუნებრივი საიდუმლოს ჭვრეტა ჯერჯერობით იმათ გარდა არავის შეეძლო. ყვავილი ყვავილს ემატებოდა. ქალაქის შემოგარენი მალე უმშვენიერესი და უმწიკვლო მცენარეებით დაიფარა, ამას კი ორი მეგობრის გარდა ვერავინ ამჩნევდა.

ორივე ნატიფი ყვავილების ზღვაში იდგა. შროშანები იდუმალი ხმით შრიალებდნენ, ყოველი მათი შერხევა საიდუმლოებრივისა და რაღაც ზებუნებრივის მანიშნებელი იყო. ალტაცებულმა დეკემბერმა ჩაიმუხლა, – ამ საოცრებას ხელი ალერსით გადაუსვა, მცენარეებიც უცებ მიენდვნენ, მისკენ გადაიხარნენ და კვლავ რაღაც ანიშნეს. დეკემბერი სიხარულით ატირდა:

–ასეთი რამ არასოდეს განმიცდია, რა ბედნიერი ვარ!

–ცას ახედე, ცას! – წამოიძახა ქარმა.

დეკემბერმა მაღლა აიხედა. ცა ვარსკვლავებით მოოჭვილიყო, მთვარე ვერცხლისფრად ქათქათებდა. მორთულმოკაზმული ცა თითქოს დაბლა ჩამობრძანებას აპირებდა.

–ზეცა ნიშანს გვაძლევს, უთუოდ რაღაცა მოხდება! – თქვა დეკემბერმა, – ქარო, ამ ქალსა და კაცს ფეხებში მივყვეთ, მჯერა, სასწაულის მოწმენი გავხდებით!

დაგვიანებულებს უკან უცნაური მხლებლები მიჰყვებოდნენ – სურნელოვანი ქარი და ყვავილების უზარმაზარი თაიგულით ხელდამშვენებული დეკემბერი.

კაცმა თითქმის ყველა კარს მიუკაკუნა, მაგრამ ამაოდ, – აღწერის გამო ყველა სახლი ჩამოსულებით იყო სავსე. კარს არავინ აღებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

–ნუთუ ამაღამ გარეთ დარჩენა მოგვიწევს? – ქალი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო.

–არ ვიცი, რა ვიღონო! – მწუხარედ წამოიძახა კაცმა. ქარმა და დეკემბერმა ერთმანეთს გადახედეს:

–მეტი რა გზაა? თავისუფალი ადგილი სხვაგან არსად მეგულება, – თქვა ქარმა და ცოლ-ქმარს წინ ჩაუარა, ქალაქის გარეუბნისკენ გაფრიალდა.

–ვიღაც მეძახის, აუხსნელ ძალას მივყავარ, ბედს მივენდოთ! – წაიჩურჩულა ქალმა.

დეკემბერმა და ქარმა მგზავრები მიტოვებულ გამოქვაბულთან მიიყვანეს. ამ გამოქვაბულს მწყემსები საქონლის სადგომად იყენებდნენ.

კაცმა ფარანი მაღლა ასწია და იქაურობა ყურადღებით შეათვალიერა.

–გარეთ დარჩენას მაინც ეს სჯობია. სუფთა, სურნელოვანი თივაც ბლომადაა, – მან თივა ააბულულა და ქალს დაეხმარა, ბულულზე ფრთხილად წამოაწვინა.

დეკემბერი და ქარი გამოქვაბულის წინ, დიდრონ ლოდზე ჩამოსხდნენ. გული აუხსნელი სიხარულით ევსებოდათ. გამოქვაბულიდან ელვარე, მანათობელი ბილიკი გადმოშლილიყო და სადღაც შორს, უკიდეგანო სივრცეში იკარგებოდა. ორი მეგობარი იჯდა და უცნაური ღამის ჭვრეტით ტკბებოდა.

–აღმოსავლეთისკენ გაიხედე! – წაიჩურჩულა ქარმა.

დეკემბერმა აღმოსავლეთით ცას გახედა და გაოცდა. ცაზე ჩახჩახა, ენით აუწერელი სილამაზის ვარსკვლავი გამოჩნდა. თაღი გადმოიარა, ციურ სხეულებს ჩაუარა და სწორედ გამოქვაბულის თავზე გაჩერდა.

გამოქვაბულიდან მყისვე ბავშვის ტირილი მოისმა, დეკემბერსა და ქარს გული აუჩქროლდათ, ერთმანეთს გადაეხვივნენ.

–ეს ნამდვილად ცის ნიშანია! – წამოიძახა ქარმა.

–მეუფე იშვა! – დეკემბერს ბედნიერებისგან ხმა აუთრთოლდა.

უცებ ცის თაღი გაიხსნა. ოთხივ კუთხიდან ანგელოზები დაეშვნენ. გაისმა ხმატკბილი გალობა, საამური ჰანგები...

–მეუფე იშვა! ოსანა! ოსანა! – გალობდნენ მშვენიერი, თეთრად მოქათქათე ანგელოზები.

ვარსკვლავებმა გამოქვაბულის თავზე წრე შეჰკრეს და ფერხულში ჩაებნენ. ამ მოელვარე შარავანდედის შუაგულში უფლის ვარსკვლავი ბრწყინავდა.

დრო წამით შეჩერდა, გამოქვაბულში ფეხაკრეფით შეიპარა და მშვენიერ ჩვილს მოწიწებით დახედა. თითქოსდა დაინახაო, – ჩვილმა გაიღიმა, ვარდისფერი ხელი წაატანა, მზერით უთხრა:

–ამიერიდან შენ ჩემი დრო იქნები!

წმინდა ქალაქი და მისი შემოგარენი უფლის ნათელმა გააბრწყინა. მთვარე უფრო აკამკამდა, ვარსკვლავები უფრო აკაშკაშდნენ, ღამე ოქრო-ვერცხლში დაიფარა, ანგელოზთა გალობამ მთელი სამყარო დაატკბო.

უფლის მადლმა ადამიანთა გულებშიც შეაღწია.

–რას ხედავ? გული რატომღაც კეთილი საქმეებისკენ მიმიწევს! – გაოცდა წინათ ბოროტი კაცი.

–ნეტავი, ჩემს თავს რა ამბავია? დილით ადრიანად ავდგები, მთელ მონაგარ ფულს ობლებსა და უმწეოებს დავურიგებ! – წამოიძახა წინათ სიძუნწით გამორჩეულმა.

–ვერაფერი გამიგია, გული არა მარტო ახლობლების, ჩემი მოსისხლე მტრების სიყვარულითაც კი მევსება, – გაიკვირვა წინათ კაცთმოძულემ და გულბოროტმიანმა.

მრავალი ჭირ-ვარამის მნახველი მეომარი ადგა, კარი გამოაღო, ოქროსფრად გაჩახჩახებულ ღამეს დიდხანს უმზირა, მერე გაიღიმა და თავისი ბასრი, ათას ბრძოლაში გამოტარებული ხმალი შორს მოისროლა.

–რად მინდა? ვგრძნობ, რომ ამიერიდან სისხლს ვერ დავღვრი. ამ დროიდან ჩემი სიცოცხლე უფლის სამსახურში უნდა გავლიო!

მეზობლის სახლში შეპარულმა ქურდმა ოქროთი სავსე ქისა ისევ თაროზე შემოდო:

–ფული რისთვის მჭირდება? ჩემზე ამიერიდან უფალი იზრუნებს... ვგრძნობ, ქურდობას ვეღარ შევძლებ!

ღრმად ჩაფიქრებულმა წინათ მურიანმა კაცმა თავი ასწია, ფანჯრიდან გაიხედა და უჩვეულო ღამის დანახვაზე გაიღიმა:

–რა ბედნიერი ვარ! გულმა შვება იგრძნო, ამიერიდან არავისი შემეშინდება!

ბედნიერმა დრომ მსვლელობა ისევ განაგრძო:

–რა შესანიშნავია! ამიერიდან განვახლდები, ახალ წელთაღრიცხვას დავიწყებ, – ეს ქრისტეს ეპოქა იქნება!

ანგელოზები ისევ გალობდნენ. მთავარანგელოზმა მთელ ქვეყნიერებას უფლის შობა მიულოცა.

გახარებულმა ქვეყნიერებამ უფლის უბრალო სადგომის წინ მუხლი მოიყარა.

გამოქვაბულს გაოცებული მწყემსები მიუახლოვდნენ:

–ანგელოზებმა უფლის დაბადება გვამცნეს! მისი ნახვა გვსურს! – ქუდები მოიხადეს, ქედი მოიდრიკეს და გამოქვაბულში მოწიწებით შევიდნენ.

საქონლის ბაგაში მშვენიერი, ვარდისფერი ჩვილი იწვა, ღვთისმშობელმა ბავშვი აიყვანა და მწყემსებს მიუახლოვდა.

მწყემსები დიდებული ქალის ფერხთით დაეცნენ, ბავშვი უფლის დედის მოსასხამის კალთაში იყო გახვეული, მწყემსები მას მოწიწებით ეთაყვანნენ.

მშვენიერმა ქალმა მეუღლეს გადახედა და იდუმალი ღიმილით გაიღიმა.

–ეჭვი არასოდეს შემპარვია, რომ შენ უფლის ძეს ატარებდი! – ალერსით უთხრა კაცმა და ხელზე ეამბორა.

ბედნიერმა ქალმა უფლის ძე გულში ჩაიკრა.

განახლებულმა დეკემბერმა და სურნელოვანმა ქარმა მუხლი მოიყარეს, – მიწაზე კაცად მოვლენილ უფალს თაყვანი სცეს.

დეკემბერმა მხარზე მსუბუქი შეხება იგრძნო. თავი ასწია, – მშვენიერი ანგელოზი ღიმილით დაჰყურებდა.

–შენ ამიერიდან ქრისტეშობისთვეს გიწოდებენ! – გაიჟღერა მისმა მელოდიურმა ხმამ.

–ქრისტეშობისთვე ვიქნები? რა დიდებულია!

–გილოცავ, ჩემო მეგობარო! – გადაეხვია ქარი.

წმინდა გამოქვაბულში სიმშვიდე და სიყვარული სუფევდა. ორმა ბედნიერმა მეგობარმა იქაურობა ღიმილით დატოვა.

გარეთ ჯერაც ღამე იყო – უფლის დაბადების მშვენიერი ჟამი.

ციური ნათელი ქვეყნიერების ოთხივ კუთხეს მოეფინა. ქრისტეს ვარსკვლავი ძალიან შორეული ცის თაღზეც გამოჩნდა.

სამმა მოგვმა ბრძნული მზერა ღვთაების ვარსკვლავს მიაპყრო:

–ეს ცის ნიშანია. უფალი დედამიწაზე კაცად იშვა, წავიდეთ, თაყვანი ვცეთ და ძღვენი მივართვათ!

სასწრაფოდ გაემზადნენ და თავიანთ ლეგენდარულ მოგზაურობას – უფლის ძიებას შეუდგნენ.

ქრისტეს ვარსკვლავი კაშკაშებდა და ქვეყნიერებას თავისკენ მოუხმობდა. განა მხოლოდ ადამიანები, ბეთლემისკენ ახლა მთელი სამყარო მიისწრაფოდა. დგებოდა დრო, როცა ქვეყნიერება წელიწადის თვეთა შორის გამორჩეულად ქრისტეშობისთვეს აღიარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მადლი ორს შორის საქმობს

კეთილ საქმეთა შორის მოწყალება რომ უპირველესია, რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის მე-2 საშ. სკოლაში დიდმაც და პატარამაც კარგად იცის. უშუალოდ სკოლის დირექტორის, ქ-ნ ბელა ჯანგიძის ინიციატივითა და მხარდაჭერით გაიხსნა სათნოების კლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიოლოგიის პე-



მარტყოფის უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში

დაგოგი რუსუდან აბაშიძე. კლუბში გაწევრიანებულმა მოსწავლეებმა არაერთი საქველმოქმედო აქცია და ღონისძიება მოაწყვეს.

შობა-ახალი წლის და აღდგომის ბრწყინვალე დღის მილოცვა აქ კარგა ხანია ტრადიციად იქცა. სათნოების კლუბის წევრები, ყოველ წელს ულოცავენ ამ დღესასწაულებს კოჯრის, მარტყოფის, რუსთავის მზრუნველობამოკლებულ და უპატრონო ბავშვებს, მარტოხელა მოხუცებს, სკოლის ტექნიკურ პერსონალს, პენსიონერ პედაგოგებს, ქალაქის გაჭირვებული მოსახლეობის ნაწილს. თავად მათ მიერ მოძიებულ ინვალიდ და უნარშეზღუდულ ბავშვებს, რომლებთანაც კლუბს დღესაც მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვს.

საქველმოქმედო აქციებში ჩართულია მე-2 საშუალო სკოლის ყველა პედაგოგი, მოსწავლე და შესაბამისად მშობელიც. სწორედ მათი მეშვეობით გროვდება ჰუმანიტარული სურსათი და მეორადი ტანსაცმელი.



სათნოების კლუბი დღესაც აქტიურად განაგრძობს მუშაობას. ამ ცოტა ხნის წინ პედაგოგ რუსიკო აბაშიძის ხელმძღვანელობით კვლავ მოგროვდა ჰუმანიტარული ტვირთი, რომლის ნაწილი გაეგზავნათ სტიქიით დაზარალებულ აჭარის მოსახლეობას და პენსიონერ პედაგოგებს. „მადლი ორს შორის საქმობსო", – უთქვამს ჩვენს ხალხს. სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებს სრულად აქვთ გასიგრძეგანებული ამ ბრძნული სიტყვების არსი და ისიც სწამთ, რომ ამ ორის შექმნა ღმერთმა სწორედ მადლის ქმნისთვის განიზრახა.

# ერთი თქვენგანი

## გიორგი კახნიაშვილი



შვიდი წლის ასაკში გიორგი ფეხბურთმა გაიტაცა და ახალგაზრდულ საფეხბურთო ნაკრებში „მამული" გააგრძელა თამაში. მწვანე მოედნით განცდილი წარმატების სიხარულიც ბევრი ახსოვს და წარუმატებლობის სევდაც. ამ ზამთარს კი სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც სამი თვით ფეხბურთის თამაში აეკრძალა, არადა ფიზიკური ფორმის შენარჩუნება მაინც აუცილებელი იყო. ექიმმა ურჩია დროებით მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა ცეკვის ან ტანვარჯიშის სახით. არჩევანის გაკეთებაში კი მეგობრები – ქიმიკოსთა კულტურის სახლთან არსებული სამეჯლისო სპორტული ცეკვის წრის მოსწავლეები კახა ტურიაშვილი და გიორგი ბასილაშვილი დაეხმარნენ. პირველ ხანებში, მაყურებლის როლში იყო, მერე კი ისე მოეწონა, რომ შეეძლო 24 საათი ცეკვისთვის დაეთმო. გატაცება იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ ლამის ფეხბურთიც შეიწირა და სკოლაც. (გიორგი რუსთავის №13 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეა) როგორც თვითონ გამოტყდა, ცეკვის გამო ხშირად გაკვეთილებიც გაუცდენია. ანზორ და მადონა ბლიაძეების სტუდია „მარცოში" ყურადღება მიაქციეს ჭაბუკის გატაცებას, მონდომებას და ენთუზმიაზმს და დროებითი სტუმარი კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად განაწყვეს. ამას დაემატა სიმპათია მეწყვილე გოგონასადმი და პირველმა წარმატებამაც არ დააყოვნა, მიწვევამ დიდ ასპარეზზე გასვლის სურვილი გაუძლიერა.



პირველი სერიოზული წარმატების გემო გიორგიმ მაშინ იგრძნო, როდესაც ის და მისი მეწყვილე გვანცა ვარდოსანიძე სტუდია „თელას" სიგელით და პრიზებით დაჯილდოვდნენ. მერე იყო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ცხრა ქვეყანა მონაწილეობდა (საქართველო, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ისრაელი, ლატვია, ლიტვა, უკრაინა და ბელორუსია). – საჩვენებელ ცეკვებზე სტაჟიორი წყვილები გამოვიდნენ. მე და თამუნამ რამდენიმე ცეკვა შევასრულეთ. აქედან ყველაზე საინტერესო ამერიკული როკ-ენ-როლი იყო. არ ვტრაბახობ, მართლაც შინაარსით სავსე და სანახაობრივად ლამაზი ცეკვა გამოვიდა, მეორე დღეს კი ფინალში პირველი ადგილი მოვიპოვეთ. ისე მოხდა, რომ ბევრი მეწყვილე გამოვიცვალე, მაგრამ არ ვნანობ, მეწყვილეები ფიზიკურად და შინაგანად უნდა ავსებდნენ ერთმანეთს, წარმატების გასაღები ჰარმონიაშია.

გიორგის წინ ბაქოს საერთაშორისო ტურნირი შოუ-კონცერტი ელის, რომელიც ანტალიაში ჩატარდება.

მაგრამ ფეხბურთი?!

–არა ფეხბურთს ვერ შეველევი, ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია – გართობაც, ჰობიც, დიდი სიყვარულიც, თუმცა ალბათ სკოლის დამთავრების შემდეგ მაინც ცეკვას გავაგრძელებ.

## თამარ მჟავია

ქ. თბილისის 115-ე სკოლის
VI² კლასის მოსწავლე

### ჩემს ქუთაისს

ქუთაისო ჩვენო მამა-ქალაქო,
შენთან ყოფნა იცი როგორ მინდება?
იმიტომ, რომ შენით მე ვიამაყო,
შენს ქუჩებში სიარული მჭირდება.
მენატრება მე რიონის დუდუნი,
ტირიფებიც-ცრემლად რომ იღვრებიან,
სათაფლია, ბაგრატი და გელათი,
მნახველები მათი ნახვით თვრებიან.
ვინ იქნება პატრიოტი ქალაქის?
მუდამ გწამდეს, ერთი მე რომ ვიქნები,
დღე არის თუ ღამე არის მარადის,
შენთანა ვარ ჩემი ჩუმი ფიქრებით.

### ქაქუცა ჩოლოყაშვილს

თქვენ არ მომკვდარხართ, ქაქუცა,
ხართ სიამაყე ჩვენია,
ეჰ! ღირსეული ქართველნი,
თქვენ მთაწმინდაზე გელიან.
იბრძოდით საქართველოსთვის,
მტერს აცვლევინეთ ფერია,
სენმაც, მოძმეთა ღალატმაც,
თქვენ შეგიმოკლათ დღენია.
მარად უკვდავი იქნებით,
არ დაგივიწყებთ ერია,
აწმყო თუ არა გვწყალობდა,
მომავალი ხომ ჩვენია,
და მომავალმა შეგიგრძნოთ,
გულში ჩაგიკრათ გენია,
განა მეტს თქვენ რას ნატრობდით?
იმას მიგვიწვდა ხელია.
იძინეთ, მშვიდად, ქართველო!
ეგ, მიწა-წყალი თქვენია,
ცაში იპოვეთ საუფლო,
როგორც წმინდანებს სჩვევიათ.

## ონელი მელიქიშვილი

დედოფლისწყაროს რაიონი,
სოფელ ზემო ქედის საშუალო სკოლის
VII კლასის მოსწავლე



### შემოდგომა

შემოდგომა შემოსულა,
ცივი ქარი ქრის,
შიშველ ხეებს,
ლამაზ ხეებს
წელში ორად ხრის.
მთვარე თავის
ტახტრევანზე
გათოშილი ზის,
და არავის აღარა აქვს
იმედი გზის,
გაზაფხულის
მოსვლას კი
შემოდგომა მკის.

### მთვარეს

ისევ ამოხვედი, ისევ გამინათე გზები,
ისევ მიღიმი, ისევ მიცინი,
ჩემო კარგო მთვარე,
ისევ გამინათებ დაღვრემილ სახეს,
როცა შემოგხედავ, ისევ გამიცინებ,
ისევ გამიღიმებ, ჩემო კარგო მთვარე,
დაღამებას ველოდები,
იმიტომ რომ მოვა მთვარე,
გამინათებს გზებს, გამინათებს სახეს,
ისევ მოხვალ, იმედია, იმიტომ რომ
მოვა ღამე, იმიტომ რომ
ვარსკვლავები ამოვიდა,
იმიტომ რომ მოწმენდილა ცა,
იმედია, შენც ამოხვალ
ჩემო კარგო მთვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლიტერატურული გვერდი

## ნიკოლოზ იოსებიძე



## საბავშვო ლექსები

### ზამთარი

შემოდგომა მერცხლებს გაჰყვა,
ფეხაკრეფით გაიპარა,
დაგვიზამთრდა, მთა და ბარი
თოვლის ფიფქით დაიფარა.
აივანზე ჟივჟივებენ
აბუზული ბელურები
–კიდევ კარგი, საბრალოებს
იმედად რომ ვეგულები –
ამბობს გვანცა და თან ჩქარობს
ჩიტებს გული გაუხაროს,
ჯამით წყალი დაუდგას და
სინზე ფეტვი დაუყაროს.
ერთი წუთი დამაცადეთ,
გენაცვალოთ თქვენი გვანცა,
მუჭა-მუჭა გადმოგიყრით
პურისა და ფეტვის მარცვალს,
თქვენ რა გიშავთ, ჩიტუნებო?
ახლა ტყეში უჭირთ ჩიტებს,
სცივათ შიათ, ჟღურტულებენ
და კენკავენ ხეთა კვირტებს.
ის საბრალო ყურცქვიტები
ხე-ბუჩქნარის ქერქებს ხრავენ,
და ნახევრად გაყინული
ნაკადულის წყალსა სვამენ,
მელაკუდა სოფელ-სოფელ
დაძრწის წუწკი, ქათმის ქურდი,
თოვლზე კვალის დაფარვაში
ეხმარება გრძელი კუდი.
კუდბუთქუნა ციყუნიას
არც არაფრის დარდი არ აქვს,
ფუღუროში ნებიერად,
შეექცევა ზამთრის მარაგს.
დათუნია თბილ ბუნაგში,
წევს და უდარდელად სძინავს,
სანამ კარგად არ დათბება,
არ დატოვებს თავის ბინას.
როცა მიწას მზე გაათბობს,
აყვავდება მთა და ბარი,
გვესტუმრება გაზაფხული
ყველასათვის სანუკვარი.

### ზეიმი ტყეში

დგას მშვენიერი ნაძვის ხე ტყეში
და გადაწყვიტეს დეკემბრის თვეში,
რომ ნადირ-ფრინველს მოერთო ნაძვი,
ზედ რაც დაჰკიდეს მე გეტყვით აწ:
ციყვებმა ტოტი მორთეს კაკლითა,
კაჭკაჭმა წვერში სარკე დაჰკიდა,
კურდღლებმა ბევრი აღარ არჩიეს,
მოზიდეს ის, რაც მოსწონთ ბაჭიებს.
სადაც ეკიდა აკიდოები,
იქვე გაბრწყინდნენ სტაფილოები.
მერე მოვიდნენ წუწკი ტურები,
სუფრას შემატეს ხაჭაპურები.
გულუხვობს მაჩვი, ბაჯბაჯა დარო,
ნაძვს მიუმატა თორმეტი ტარო.
გაოცებული დარჩა სუყველა,
ჩხიკვმა დაჰკიდა ხეზე ჩურჩხელა,
ამოვლებაზე არ უწვალია,
თურმე ბებოსთვის მოუპარია.
მობრძანდა დათვი ვეება სათლით,
პირამდე სავსე ქარვისფერ თაფლით,
ნადირ-ფრინველი ყველა გაკვირდა,
დათვმა რომ ხეზე სათლი დაჰკიდა,
გამოჩნდა მელა მისი ამალით
და ნაძვის ტოტზე შესვა მამალი,
კოხტად მორთული ხე რომ იხილა,
ფრთა ფრთას შემოჰკრა და დაიყივლა,
მამალი ზეიმს ასე წაუძღვა,
ტყეს ახალი წლის მოსვლა აუწყა.
ვინც იმ ტყე-ღრეში,
ბუჩქნარში სახლობს,
შემოიკრიბნენ ნაძვის ხის ახლოს,
ურთიერთს სიმღერით
დაუდგნენ მხარში,
გაჩაღდა ლხინი, ვაშა და ტაში.





## შენზე ფიქრით რომ ათენებს

# კეთილ საქმეთა მასწავლებელი

რუსთავის საკვირაო სკოლა „ზარი“ მრავალი ნიჭიერი მოსწავლის მასპინძელია. დამატებითი დატვირთვა, რასაც ბავშვები ამ სკოლაში იღებენ, დამღლელი არა, მაგრამ სიამოვნების მომგვრელი ნამდვილად არის, ამ სკოლაში ბავშვები იძენენ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ ცხოვრებასთან ადაპტაციას გაუადვილებს. აქ მათ უყალიბდებათ ლიდერის თვისებები და სურვილი, საკუთარი წვლილი შეიტანონ სახელმწიფოს აღმშენებლობაში. ვინ დგას ამ სკოლის სათავეში? რამდენად მისაბაძია მისი პიროვნება და ცხოვრების რა გზა გაიარა მან დღემდე?

ბატონი პავლე თვალიაშვილი იმ ადამიანთაგანია, რომლებიც ახალგაზრდებზე ფიქრითა და ზრუნვით ათენ-აღამებენ, საკუთარი საქმიანობის აზრს მათ ცხოვრებაში დაკვალიანება-დაფრთიანებაში ხედავენ. პ. თვალიაშვილი ქ. რუსთავში დაიბადა, სკოლაც აქვე დაამთავრა, მერე კი სწავლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე გააგრძელა, უმაღლესის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში ჩაირიცხა და ისიც წარმატებით დაასრულა.

ბატონი პავლე დღეს ღიმილით იხსენებს პირველ ჰონორარს, რომელიც მან ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ში აიღო ორ თანამოაზრესთან ერთად მომზადებული საბავშვო გადაცემა „მანუნაში“, სამივეს ჰონორარი ერთად შეადგენდა ოთხ დოლარს. მას შემდეგ წლები გავიდა, ბატონმა პავლემ გაიარა სპეციალური მომზადება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მწვრთნელებთან, იმუშავა გაზეთ „ზარში“ მთავარ რედაქტორად, მერიის პრეს-ცენტრში, ახალგაზრდობის დეპარტამენტში, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ში, ტელეკომპანია „კლდე-კარში“, ქ. რუსთავის IV საშუალო სკოლაში მასწავლებლად, სოროსის ფონდში მწვრთნელად. ამჟამად იგი მუშაობს განათლების სამინისტროში და ეროვნული სასწავლო გეგმისა და ახალი სახელმძღვანელოების პილოტირების პროგრამის მწვრთნელად. მას მინიჭებული აქვს მწვრთნელისა და კონსულტანტის კვალიფიკაცია განათლების საკითხებში. იგი მონაწილეობს მრავალ საერთაშორისო და ეროვნულ პროგრამაში, სემინარში, ტრენინგში, პროექტის სამუშაო შეხვედრაში, მრგვალ მაგიდაში, დისკუსიაში, ბანაკში. დაძაბულ და დატვირთულ საქმიანობაში მას ძალიან ეხმარება რუსულის და ინგლისურის საფუძვლიანი ცოდნა. 1998 წელს პავლე თვალიაშვილი მიიწვიეს დებატებში. ამ პროგრამის ფარგლებში იგი ცდილობს ახალგაზრდებს ასწავლოს კეთილი საქმეების კეთება, სხვების მოსმენა, სწორი მეტყველება, სხვათა აზრის პატივისცემა, მსჯელობა, კამათი და პატიოსნება. დღეს ბატონი პავლე ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ს.ი.უ.ა.“-ს (საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია), რომელიც ასაქმებს მრავალ მოზარდს, ასწავლის ლიდერობას, დებატებში მონაწილეობას, პროექტებზე მუშაობას, მუშაობას IEARN ინტერნეტ-ტექნოლოგიებში.

პავლე თვალიაშვილი მონაწილეობდა ტრენინგების, სასწავლო კურსებისა და კონფერენციების მუშაობაში მსოფლიოს 10 ქვეყანაში: რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უნგრეთში, რუმინეთში, დანიაში, ინგლისში, სლოვაკეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი იყო ქ. რუსთავში პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდების ადმინისტრატორი და გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის პირადად პრეზიდენტისგან მიიღო მადლობის სიგელი. ბ-ნი პავლეს სამომავლო გეგმაშია სტუდენტების წაყვანა უკრაინაში, სტუდენტებისთვის პროგრამა „ხელი-ხელს“ რუსთავში ტრენინგის ჩატარება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა წაყვანა ჰოლანდიაში მსოფლიო კონკურსზე და ა.შ.

**თიკო ყარამაშვილი,**
„ნაკადულის“ ნორჩკორი

## სიტყვის კონა



**კაკაჩი** – მთვარით განათებული, კაშკაშა მთვარიანი ღამე.

**კელაპტარი** – ცვილის დიდი სანთელი.

**კერკი** – წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხეხილის გამხმარი ნაყოფი.

**კეხი** – უნაგირის ხის ჩონჩხი.

**კვირაძალი** – კვირა დღის წინა საღამო, შაბათ-საღამო, დაახლოებით მზის ჩასვლიდან.

**კოჩაკი** – აქლემის ნაშიერი.

**კოფო** – ურმის, მარხილის და მისთანა ჭალებზე გარდი-გარდმო ჩამოცმული ფიცარი. ეტლში – მეეტლის შემაღლებული დასაჯდომი.

**კოჭოზი** – პატარა ქოთანი.

**ლირფი** – თავხედი, ურცხვი, უტიფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მშრომელი ნარვალს, და ნაშრომი ჰგიეს

# გიორგი ნიკოლაძე

საოცარია, რამდენ რამეს სწვდებოდა ამ ადამიანის გონება, რამდენი რამის გაკეთება მოასწრო თავისი ქვეყნისთვის, თავისი ხალხისთვის.

გიორგი ნიკოლაძე, გამოჩენილი ინჟინერ-მეტალურგი, მკვლევარი – გეომეტრი, ტერმინოლოგი, გამომგონებელი, სპორტსმენი. გარდა იმისა, რომ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, საუცხოო გარეგნობის ვაჟკაცი იყო, უწინარეს ყოვლისა, შესანიშნავი მოქალაქე და ადამიანი გახლდათ. როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, მას ყველაფერი აინტერესებდა, რაც მისი ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური დონის ამაღლებას ემსახურებოდა.

გიორგი ნიკოლაძე დაიბადა 1888 წლის 11 აგვისტოს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და კრიტიკოსის ნიკო ნიკოლაძისა და მისი დიდად განათლებული მეუღლის ოლღა გურამიშვილის ოჯახში. თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გიორგიმ სწავლა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიურ ფაკულტეტზე განაგრძო და 1913 წელს მეტალურგის სპეციალობით დაამთავრა იგი. 1918 წლამდე ახალგაზრდა ნიკოლაძე მუშაობდა დონბასში, იუზოვსკის და ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხნებში, სადაც ზედმიწევნით დაეუფლა საბრძმედე საქმეს. იმავდროულად არც თავის მეორე გატაცებას, გეომეტრიას ივიწყებდა და დაბეჯითებით იკვლევდა გეომეტრიულ პრობლემებს. 1918 წელს გ. ნიკოლაძე საქართველოში ჩამოვიდა. სამშობლოში დაბრუნებული, აქტიურად ჩაება ქართული უნივერსიტეტის შექმნის საორგანიზაციო საქმიანობაში. მაგრამ ვინაიდან უპირველეს ყოვლისა მეტალურგი იყო, საქართველოში მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაზე იწყო ზრუნვა. მან არაერთხელ დასვა მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს წინაშე ქვეყანაში მეტალურგიული მრეწველობის განვითარების აუცილებლობისა და მისი სპეციალიზაციის საკითხი. 1922 წ. გ. ნიკოლაძე საქართველოს სახალხო-მეურნეობის საბჭოს კონსულტანტად დაინიშნა და ენერგიულად შეუდგა ფეროშენადნობთა წარმოების აუცილებლობის დასაბუთებას და ორგანიზებას. იმავე დროს იგი უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე ელექტრომეტალურგიის კათედრასაც ხელმძღვანელობდა და ლექციებსაც კითხულობდა მხაზველობით გეომეტრიასა და მეტალურგიაში. 1928 წელს პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში ნიკოლაძემ წაიკითხა მოხსენება მის მიერ გამოგონებული „ელექტრონული არითმომეტრის შესახებ". ქართველი მეცნიერის გამოგონებით მრავალი უცხოური ფირმა დაინტერესდა, მაგრამ გ. ნიკოლაძემ ყველა წინადადება უარყო იმის იმედით, რომ იდეას საქართველოში შეასხამდა ხორცს და ამით დიდ სამსახურს გაუწევდა სამშობლოს. სამწუხაროდ, მოუცლელობის გამო იგი იძულებული იყო გადაედო ეს საქმე, საბოლოოდ კი გამოგონება მხოლოდდა გამოგონებად დარჩა.

ეს ის პერიოდია, როცა თბილისში, დიდუბეში გიორგი ნიკოლაძის ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით აიგო და ამოქმედდა ფერომანგანუმის საცდელი ქარხანა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ფეროშენადნობთა ათვისების საქმეში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. დიდუბის საცდელ ქარხანაში უამრავი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა, რომლებიც საქართველოში მეტალურგიის აღმავლობას დაედო საფუძვლად.



გიორგი ნიკოლაძე სახელგანთქმული ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანიცაა. შეიძლება ითქვას, რომ გეომეტრიული კვლევა მან დილეტანტის დონეზე დაიწყო, მერე და მერე კი განსაკუთრებული ნიჭისა და შრომის წყალობით ერთ-ერთი წამყვანი მათემატიკოსი გახდა. 1926-1928 წწ. ნიკოლაძემ პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში გაატარა, უზარმაზარი შრომა გასწია და 1928 წლის ივნისში სორბონშივე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „გეომეტრიული ნაკვეთთა უწყვეტი სისტემების შესახებ" და საფრანგეთის უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება მოიპოვა, ამასთან უმაღლესი დახასიათება მიიღო. ნიკოლაძის სადისერტაციო ნაშრომი ცალკე მონოგრაფიის სახით გამოიცა ფრანგულ ენაზე. ამის შემდეგ მისი ნაშრომები იბეჭდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა პრესტიჟულ და სამეცნიერო ჟურნალებში, ქართველ მეცნიერს იწვევდნენ მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებზე.

საქართველოში დაბრუნებული მეცნიერი თბილისის უნივერსიტეტში კითხულობს ანალიზურ და დიფერენციალურ გეომეტრიას. უმაღლესი გეომეტრიის სპეციალურ კურსებს, აარსებს პირველ გეომეტრიულ სემინარს, ჰქმნის პირველ ქართულ სახელმძღვანელოს დიფერენციალურ გეომეტრიაში, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგღა გამოიცა.

გიორგი ნიკოლაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მონაკვეთია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენა. სასიქადულო მამულიშვილს ძალიან აწუხებდა ის გარემოება, რომ თუმცა ქართულ უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს თუ სპეციალურ სასწავლებლებში საგნები ქართულ ენაზე ისწავლებოდა, ერთიანული ტერმინოლოგია არ არსებობდა. გიორგი ნიკოლაძის და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით და გატაცებული შრომის შედეგად 1920 წლისთვის გამოიცა კოლექტიური ნაშრომი „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი". სწორედ ამ ლექსიკონის შემდგენელთა წყალობით დამკვიდრდა ქართულ ენაში ისეთი სიტყვები, როგორიცაა: წნევა, დენი, ძრავა, სინჯარა, ხრახნი, ნათურა, მართი კუთხე, ფართი, ფარდობა, ტოლობა, შუქფარი, ტოლგვერდა, ჯერადი, წნეხი და უამრავი სხვა. ამ ტერმინთა უმრავლესობის ავტორი უშუალოდ გიორგი ნიკოლაძეა.

გ. ნიკოლაძეს უნდა ვუმადლოდეთ საქართველოში სატანვარჯიშო ტერმინოლოგიის შექმნასაც. მისი შემოღებულია ტერმინები: ქნევი, წინხტომი, უკუხტომი, ლუნი, ეხსტომი და სხვა. სპორტს ძალზე დიდი ადგილი ეკავა გიორგი ნიკოლაძის შემოქმედებაში. საუცხოო ტანმოვარჯიშემ და ალპინისტმა, მან ნათელი კვალი დატოვა ქართული სპორტის ისტორიაში. 1912 წელს გამართულ ტანმოვარჯიშეთა ფორუმზე გიორგი ნიკოლაძემ 2000 კაცს შორის მე-15 ადგილი დაიკავა, შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ დიდებულ ქართველ ვაჟკაცს ისე მოუხიბლავს პრალელები, რომ მისი პორტრეტი მრავალ გაზეთს დაუბეჭდავს. გიორგი ნიკოლაძემ და გიორგი ეგნატაშვილმა 1918 წელს დააფუძნეს ქართული ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი". 1920 წელს ნიკოლაძე სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ჩემპიონი გახდა.

გიორგი ნიკოლაძის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე მასობრივი ალპინიზმის განვითარება. 1923 წლის აგვისტოში მისი ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ავიდა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ-მასწავლებელთა პირველი ჯგუფი. ამ ისტორიულმა ასვლამ დასაბამი მისცა მასობრივ ალპინიზმს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეზე. ასევე დიდია გ. ნიკოლაძის ღვაწლი ჩვენი სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებაში, ბაკურიანში სამთო-სათხილამურო ბაზის აგებაც ხომ მისი იდეა იყო.

ვინ იცის, კიდევ რამდენის გაკეთებას შეძლებდა, მაგრამ არ დასცალდა, სრულიად ახალგაზრდა, 42 წლისა გარდაიცვალა. დიდუბის ფეროშენადნობის საცდელ ქარხანაში მუშაობის დროს გაცივდა, ფილტვების ანთებით გახდა ავად და 1931 წლის 5 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძეგლი

მზე ნელ-ნელა ამოიწვერა, ფრთხილად მიმოავალო სხივები ყოველ კუთხე-კუნჭულს, აჭიკჭიკდნენ ჩიტები, ყვავილებმაც ნაზი ფურცლები გაშალეს, და გამოიღვიძეს, გამოიღვიძა ქალაქმა. პატარა დავითმა ლოგინიდან თავი წამოჰყო და როგორც კი ოთახში მოფენილი სხივებს მოჰკრა თვალი, წამოხტა და ფანჯრისკენ გაიქცა. მზე მასაც მოეალერსა, ჩიტებმაც სალამი უთხრეს და გახარებული ბიჭუნა დედისკენ გაემართა. დედა ღიმილით შეეგება და შეჰპირდა, რომ აუცილებლად წაიყვანდა სასეირნოდ. გახარებულმა დათომ სწრაფად ჩაიცვა და ისაუზმა. შუადღე მოტანებული იყო, როდესაც სასეირნოდ გასწიეს. ჯერ ცირკში იყვნენ, შემდეგ ზოოპარკშიც შევიდნენ. მერე დათომ დედას სთხოვა ცოტა ფეხით გავიაროთო, ბიჭმა თვალი მოჰკრა ცხენზე ამხედრებული მამაკაცის ძეგლს, რომელიც სიამაყით გადმოჰყურებდა. დათო ალტაცებით უყურებდა ძეგლს, თუმცა არ იცოდა, ვინ იყო ის მამაკაცი, მისი მზერა ხანშიშესულმა ქალმა მიიპყრო, რომელმაც ულამაზესი ყვავილების თაიგულით შეამკო ძეგლი. ბიჭუნა დედას მიუბრუნდა. და ჰკითხა: „დედა, ვისი ძეგლია ეს? ვინ არის ცხენზე ამხედრებული კაცი?“ – „დავით აღმაშენებელი!“ – უპასუხა დედამ. და უამბო ვინ იყო დავით აღმაშენებელი, რა ღვაწლი მიუძღოდა მას ქართველი ერის წინაშე. დათომ გაიგო, რომ ამ მეფემ გააერთიანა საქართველო, ააყვავა იგი, და რომ დავითის მეფობის ხანას ოქროს ხანა ეწოდა.

გავიდა დრო, დათო გაიზარდა, ბევრი რამ ისწავლა და გაიგო, პროფესიაც შეიძინა, დაკაცდა და ღირსეულად ცხოვრობდა. ხშირად მიდიოდა დავითის ძეგლთან და მის წინაშე ქედს იხრიდა. იგი ამ დღესაც თავის კაბინეტში იდგა, და მუშაობდა. უცებ ტელევიზორთან დიქტორის ხმა შემოესმა, საუბარი დავით აღმაშენებლის ძეგლს შეეხებოდა. შეცბა დავითი – თურმე დავითის ძეგლს ხსნიდნენ. შეშფოთდა, თვალი ცრემლით აევსო, გულნატკენმა სინანულით ჩაილაპარაკა – „დამთავრდა!“

დავითი რესპუბლიკის მოედნისკენ გაემართა, ამჯერად იგი მიდიოდა არა იმიტომ, რომ როგორც ყოველთვის, დავითის წინაშე ქედი მოეხარა, არამედ იმიტომ, რომ დაეცვა იგი...

**თიკო ვარამაშვილი,**
ქ. რუსთავის სკოლა
„ნაკადულის“ მოსწავლე

**ლადო დეკანოსიძე,**
ქ. რუსთავის მე-2 საშუალო სკოლა,
V ა კლასი



# წვიმა

ფანჯარასთან ვზივარ მოწყენილი, ნაცნობი მელოდიასავით ჩამესმის: წკაპ-წკაპ, ტკაპ-ტკაპ. ეს წვიმა მღერის სახურავზე, ხის ფოთლებზე, ფანჯრის რაფებსა თუ მინებზე. მღერის ღია აივნებსა თუ ჭრელა-ჭრულა ქოლგებზე.

სველი ბელურები ფრთხიალით იშრობენ ბუმბულს, გაბურძგნულები ბუებს დამსგავსებიან. საცოდავად იბუზებიან და შესაბრალისად იყურებიან აქეთ-იქით. წვიმას სულ არ ენაღვლება, საბრალო ჩიტებს რომ სცივათ, ის მღერის დაუსრულებლად, მთელი ქალაქი საკუთარ სცენად უქცევია, ჩვენ კი მისი მსმენელები ვართ. ცოტა ხანში მზეს ბეზრდება წვიმის ჰანგები და ღრუბლიდან გამოანათებს. წვიმა ხვდება, რომ უნდა დაიმალოს. ეზოში გუბეები გაჩნდა. ბავშვები ფეხშიშველა დატყაპუნებენ წყალში, მე კი არ მიშვებენ ეზოში. ამიტომ ერთი სული მაქვს, როდის გათენდება მზიანი დილა და გაშრება ონავარი წვიმისგან გაჩენილი გუბეები.

# დედას

*ჩემს ცხოვრებაში დედა ყველაზე სათუთი არსებაა. დედა შეიძლება იყოს ერთი, მე მას ლექსს ვუძღვნი:*

დედი, ჩემო დედი.
ტკბილი ხარ და მშვენიერი
ვეცდები, რომ გავამართლო
შენი იმედები და ამას ნუ დამივიწყებ
დედი, ჩემო დედი!
დედი! დედი!

# იცოდით, რომ...



მთელი სიცოცხლის განმავლობაში ადამიანი ფეხით 160 000 კილომეტრს გადის, ანუ 200 მილიონ ნაბიჯს დგამს. ეს კი იგივეა, რომ ოთხჯერ შემოუარო დედამიწას.

ჩვენი ფეხები 26 ძვლისგან, 31 სახსრისგან და 100-ზე მეტი იოგისგან შედგება. ძვლები მოძრაობაში კუნთებს მოჰყავს, რომლებიც სიარულისას ფეხს ჭიმავენ, ხოლო როცა ვდგავართ, წონასწორობას გვინარჩუნებენ. ნაწილი კუნთებისა წვივშია დამალული, იქიდან ისინი იოგების საშუალებით ამოძრავებენ ძვლებს (დაახლოებით ისე, როგორც მეთოჯინე ამოძრავებს თოჯინა-მარიონეტებს). გარდა ამის, ფეხებში ნერვებიც გადის, რომელთა მეშვეობითაც შემოდის სიგნალები თავის ტვინიდან. ტერფზე კი განლაგებულია უამრავი „გადამწოდი" (ტერფის გარკვეული მონაკვეთების მასაჟი დაგეხმარებათ გულის, ღვიძლის დაავადებების, აგრეთვე თავის ტკივილის დროს).

ახლა კი მოდით, იმ დროს დავუბრუნდეთ, როდესაც არც ადამიანი არსებობდა და არც ფეხები. ეს იყო 570 მილიონი წლის წინათ ანუ პალეოზოურ ერაში. მოგვიანებით კი, 350 მილიონი წლის წინათ ზოგიერთ თევზს გულმა ხმელეთისკენ გამოუწია და მათ ზღვებიდან ამოსვლა იწყეს. ნელ-ნელა გამოირკვა, რომ ხმელეთზე მათ ფარფლები აღარ სჭირდებოდათ და დროთა განმავლობაში მათი სხეულის ეს უმაქნისი ნაწილები ნელ-ნელა სიარულისთვის მოხერხებულ კიდურებად – ფეხებად გადაიქცა...

მილიონობით წლების განმავლობაში კიდურების ნაირ-ნაირი მოდელები გაჩნდა. მაგალითად, მრავალტონიანი სპილოების ფეხებმა მსხვილი მოძრავი სვეტების სახე მიიღო. ოთხ ბოძს, რომელსაც ეს გიგანტი ცხოველი ეყრდნობა, ერთადერთი კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. ამასთან სპილოები უფრო მსუბუქად აბიჯებენ, ვიდრე ადამიანები, იმიტომ, რომ მათი წონა ფეხისგულებზე თანაბრად არის განაწილებული. ის კი არა, თუ შემთხვევით სპილო ფეხზე ფეხს დაგდგამს, მაინცდა-













მაინც ნუ შეშინდები – ამ დროს ისეთი შეგრძნება გექნება, თითქოს ფეხზე ქვიშით სავსე ტომარა დაგადეს.

განსაკუთრებით დიდი ჯაფა ძველი მაიმუნების კიდურებს ადგა და შედეგმაც არ დააყოვნა. ამ ცხოველების ფეხებზე ცერა თითმა განზე გაიწია და დანარჩენებს გამოეყო, ისე რომ ახლა მაიმუნებს ფეხებზე თითები თითქმის ისევე აქვთ განლაგებული, როგორც ადამიანებს. ამის წყალობით ისინი ხელებსაც და ფეხებსაც ერთნაირად მარჯვედ ხმარობენ – საჭმელსაც „ოთხივე ხელით" შეექცევიან და ხეებზეც ფეხებითაც და ხელებითაც ერთნაირად მოხერხებულად ეკიდებიან. სხვათა შორის ადამიანებს შორისაც არიან ისეთები, რომლებიც მაიმუნებზე არანაკლებ მარჯვედ ხმარობენ ფეხებს (მათ შეუძლიათ ფეხებით ხატონ, დაუკრან ვიოლინოზე), თუმცა უდიდესი უმრავლესობა მათ ძირითადი დანიშნულებით იყენებს – დადის. ფეხების ერთი „ვიწრო სპეციალიზაცია" ოთხი მილიონი წლის წინათ მოხდა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მაშინ ჩამოვიდნენ ჩვენი შორეული წინაპრები ხიდან, წელში გაიმართნენ, ორ უკანა ფეხზე შედგნენ, ხელებს კი ჩავლების ფუნქცია მიაკუთვნეს. იმ დღიდან, როცა ადამიანმა საკუთარ ფეხებს სიარული უბრძანა, ფეხის ცერა თითი დანარჩენებს მიუახლოვდა და მიწიდან არეკვნაში მათი დახმარება იტვირთა. ქუსლი მიწაზე დაეშვა და სხეულის წონის მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარ თავზე აიღო, ტერფის შუა ნაწილში კი რკალი გაჩნდა. ასეთი მოქნილი კონსტრუქციის წყალობით ფეხებმა ენერგიის მომარაგება და მისი მომდევნო ნაბიჯის გადასადგმელად გაღება ისწავლეს (ზამბარის მსგავსად). ფეხის წვერსა და ქუსლზე არსებული ცხიმოვანი ბალიშები დარტყმებს არბილებს, ამიტომაც შეუძლია ადამიანს ისე ირბინოს და იხტუნოს, რომ ძვლები და სახსრები არ დაიზიანოს.

მაგრამ ჩვენ შორის ისეთი ადამიანებიც არიან, რომლებსაც ფეხებთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ. მაგალითად, ბევრს ბრტყელტერფიანობა აწუხებს, რომლის დროსაც ფეხის გულზე არსებული რკალი სწორდება და ფეხი ზამბარის თვისებებს კარგავს. ეს შეიძლება სხვადასხვა მიზეზით ხდებოდეს, მაგალითად, იმის გამო, რომ ადამიანი ნაკლებად მოძრაობს, რის შედეგადაც ფეხის კუნთები თანდათან დუნდება და დატვირთვას ველარ უძლებს. შეიძლება ბრტყელტერფიანობა ვიწრო და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარებას მოჰყვეს. ისე რომ, გირჩევთ მეტი იზრუნო ამ საოცარ სამარჯვებზე, რომლებსაც ფეხები ჰქვია. გარდა იმისა, რომ შენ ფეხების წყალობით დადიხარ, სირბილის, ხტომის, სკეიტით, გორგოლაჭებით, ველოსიპედით ქროლვის სიამოვნებასაც ხომ ისინი განიჭებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორი ადამიანი იზრდები ტესტი

**1. შენ დედას შეჰპირდი, რომ კვირას დილით ადრე ადგებოდი და სახლის დალაგებაში მიეხმარებოდი, კიდეც გაიღვიძე, ძალიან კი გეზარება...**

ა) მაგრამ მაინც ადექი და მთელი დღე ეხმარებოდი დედას.

შენ საიმედო ადამიანად იზრდები.

ბ) არ ადექი, გვერდი იცვალე გადაბრუნდი და ძილი გააგრძელე.

არასაიმედო იზრდები.



**2. გაკვეთილების შემდეგ მეგობარმა კომპიუტერზე სათამაშოდ დაგპატიჟა თავისთან, შენ ძალიან გინდა გაჰყვე, მაგრამ შინ ძაღლი გელოდება, რომელსაც ყოველდღე სკოლის შემდეგ ერთი და იმავე დროს ასეირნებ ხოლმე და თუ ამჯერად დაიგვიანებ, ის იდარდებს და...**

ა) შენ ეუბნები მეგობარს, რომ ძაღლის გამო ვერ წაჰყვები.

პასუხისმგებლობის გრძნობა არ გღალატობს, შენს მოვალეობას ყოველთვის ასრულებ.

ბ) თანხმდები მეგობარს, კომპიუტერზე სათამაშოდ მიჰყვები და სულ არ გაწუხებს, რომ შენი საბრალო ძაღლი იდარდებს.

უპასუხისმგებლო იზრდები.

**3. დედამ მაღაზიაში გაგგზავნა, საყიდლების ყიდვის შემდეგ ხურდა დაგრჩა და...**

ა) არ ხარჯავ მას და ნაყიდ სურსათთან ერთად აძლევ დედას.

შენ წესიერი, პატიოსანი, სინდისიანი ადამიანი ხარ და ყოველთვის ასეთი იქნები.

ბ) დედას უმალავ და ხურდას შენთვის იტოვებ ან იქვე ხარჯავ, შენთვის ყიდულობ რაღაცას.

სანდო ადამიანი არ გეთქმის.

**4. ხვალ საკონტროლო წერა გაქვს, მაგრამ შენ ტელევიზორის ყურება გინდა და ფიქრობ, რომ საკონტროლოს მოუმზადებლადაც კარგად დაწერ და მნიშვნელობა არა აქვს, რა შეფასებას მიიღებ ნაწერში...**

ა) ტელევიზორს თმობ და მეცადინეობ, საკონტროლოსთვის ემზადები.

დისციპლინირებული ადამიანი დადგები.

ბ) ფიქრობ, რომ საკონტროლო ნაკლებმნიშვნელოვანია და ტელევიზორის ყურებას არჩევ.

შენ არხეინი, არადისციპლინირებული ხარ და ალბათ მომავალშიც ასეთივე იქნები.

**5. გესმის, როგორ აძაგებენ შენი თანაკლასელები შენს მეგობარს და...**

ა) მეგობარს ექომაგები, თანაკლასელებს უხსნი, რომ ის აუგს არ იმსახურებს.

შენ ყოველთვის საიმედო მეგობარი იქნები.

ბ) თუმცა არ გსიამოვნებს, მაგრამ მეგობრის დასაცავად არაფერს ამბობ.

მეგობრებს შენი იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიცილის გაკვეთილი



* * *

მამა: რატომ დაგიწერეს ანატომიაში ორიანი?

შვილი: „შპარგალკა“ გამოვიყენე და...

მამა: ისევ იწერდი?

შვილი: არა, უბრალოდ ჩემი ნეკნები დავითვალე.

* * *

დედა: ჩვენი დედალი კვერცხებს აღარ სდებს, სჯობს დავკლათ.

შვილი: რომ დავკლათ, რა, ისევ დაიწყებს კვერცხის დებას?

* * *

მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნა ანდაზა: „სიტყვა ვერცხლია, დუმილი — ოქრო!“

მეორე დღეს მასწავლებელმა ბავშვების გამოკითხვა დაიწყო, მაგრამ ხმა არავინ ამოიღო.

—რა ხდება, ხმას რატომ არ იღებთ? გაკვეთილი არავის მოგიმზადებიათ? აბა, პიერ, შენ მიპასუხე!

—უბრალოდ ის ანდაზა გავიხსენეთ, თქვენ რომ გუშინ გვასწავლეთ, ოქრო ვერცხლზე ძვირფასიაო.

* * *

—სოფი, მე მაღაზიაში მივდივარ, მალე დავბრუნდები, რძე ქურაზეა, ყურადღებით იყავი, თვალი ადევნე როდის ადუღდება.

დედა რომ დაბრუნდა, რძე ქვაბიდან გადმოსული და სანახევროდ დამშრალი დახვდა.



—ეს რა გიქნია, მე ხომ გითხარი, რძეს მიხედე, როდის ადუღდება-მეთქი, — უსაყვედურა დედამ შვილს.

—დედა, ტყუილად მიჯავრდები, მე რძეს მივხედე, ზუსტად თორმეტ საათზე ადუღდა.

* * *

—ჟორჟ, პირში ლურსმანი გიდევს?! ახლავე გამოიღე, არ გადაგეყლაპოს!

—რა იყო ჟაკ, ერთი ლურსმანი დაგენანა, ლურსმნების მეტი რა გაქვს?!

* * *

კაცი მაღაზია „ოპტიკაში“ შევიდა.

—გამარჯობათ, — მიესალმა მას გამყიდველი, — მინუს ცხრა მინებიანი სათვალე გნებავთ, არა?

—როგორ მიხვდით, რომ ახლომხედველი ვარ?

—უბრალოდ, კარის ნაცვლად ფანჯრიდან შემოხვედით.

* * *

—კარლ, არ გრცხვენია, რას ასწავლი თუთიყუშს?!

—დედიკო, შენ ვერ გამიგე, მე მას მხოლოდ ის სიტყვები ჩამოვუთვალე, რომლებიც არ უნდა წარმოთქვას.

* * *

მასწავლებელი: რით იკვებებიან ზღარბები?

მოსწავლე: ალბათ, კაქტუსებით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იწილო — ბიწილო

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



**თუ ამ უჩვეულო კროსვორდს სწორად შეავსებთ, უჯრედების მეორე მწკრივში ანდაზის წაკითხვას შეძლებთ.**

1.ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში. 2. წარწერიანი დაფა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებზე, მაღაზიებზე, საწარმოებზე და სხვ. 3. მიხვედრის, გარემო ვითარებაში გარკვევის უნარი. 4. დროის გარკვეული მონაკვეთი. 5. სახელი, პატივი. 6. ქმრის და. 7. ძველი სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც დაახლოებით ერთ მეტრს უდრიდა. 8. ჭიგო ანუ... 9. სპეციალური შრატის შეშხაპუნება ზოგიერთი გადამდები დაავადების თავიდან ასაცილებლად. 10. სოფელი გორის რაიონში. 11. სასწორის თეფში. 12. იალქანი. 13. პიტალო კლდე. 14. ძვირფასი ლითონი. 15. გემი, რომლითაც იაზონი კოლხეთს მოადგა. 16. დასასრული. 17. მხარზე გადასაკიდებელი პატარა ნივთების ჩასალაგებელი ჩანთა. 18. დედნის პირი.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



**თარაზულად:** 1. ინგლისელი მწერალი. 2. ალმაცერის სინონიმი. 6. მეცნიერება, რომელიც სწავლობს კაცობრიობის მიერ განვლილ გზას. 9. ინდონეზიის კუნძული. 11. რქის ნაღარა. 12. ფაზბეგის ნაწარმოები. 13. სატელეგრაფო ანბანი. 17. მიწის დასამუშავებელი ხის იარაღი ძველად. 18. ფრინველის მიერ შეკრული კამარა. 20. დიდი რუსი მწერალი. 22. კოპიტის სინონიმი. 23. დადებითად დამუხტული ელექტროდი.

**შვეულად:** 1. კორეის ქალაქი. 2. საქართველოს მდინარე. 3. ჭრილობის სინონიმი. 4. ტყის ბინადარი ცხოველი. 5. პარკოსანი მცენარე. 7. ლაშქრის სინონიმი ძველ ქართულში. 8. თმის საღებავი. 10. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით. 11. ცნობილი ფრანგი მწერალი. 14. მყარი საწვავი, მიღებული ქვანახშირის გახურებით. 15. სადურგლო იარაღი. 16. სამჭედლო იარაღი. 17. გამხმარი ხილი. 19. მსოფლიო ექსჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის. 21. ბერძნული ანბანის ასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მომავალი



**ანა კორკოტაძე**



**ხატია სეფერთელაძე**



**თეკლე კანდელაკი და ელენე არწივიძე**



**რუსა ნაჭყებია**



თბილისის ე. თაყაიშვილის სახელობის გიმნაზია,
I კლასი, ხელმძღვანელი
**ნინო დოდაშვილი**



თბილისის ე. თაყაიშვილის სახელობის გიმნაზია,
I კლასი, ხელმძღვანელი
**მაკა აბრამიშვილი**

-90
69/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ვერნისაჟი





მეგი ჟანგირაშვილი, 9 წლის, ახმეტის რაიონი, სოფ. კოღოთო






ირაკლი ჩხვიმიანი, მესტიის რ-ნი, სოფ. ჭუბერის საშ. სკოლა IV კლასი



დათო მიქელაძე, 3 წლის







ლუკა გელაშვილი, 5 წლის, ქ. რუსთავი